საქართველო

თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის ინდექსი 2025

საქართველო: თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის ინდექსი (2025)

ავტორი:

გიორგი ბახტურიძე MD, MPhil, LLM, JDc, PhD

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლა, ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ატლანტა, აშშ;

თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის (FCTC) იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი, საქართველო.

ინგლისურიდან თარგმნა: ნანა ფეიქრიშვილმა MSc, MPhil

ანგარიშის ქართული ვერსიის რედაქტორი: გიორგი მაღრაძე MD, PhD

მადლიერება

ავტორი მადლობას უხდის ქალბატონ ქერი უიტნის აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრის (CDC) ფონდიდან და დოქტორ ლუსი პოპოვას ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ღირებული კომენტარებისა და ანგარიშის გაუმჯობესებისთვის.

ასევე, თამბაქოს კონტროლში კარგი მმართველობის გლობალურ ცენტრს (GCGGTC), სარედაქციო რჩევებისთვის.

დაფინანსების წყარო

წინამდებარე კვლევითი პროდუქტი შეიქმნა კვლევითი პარტნიორობის მეშვეობით, რომელიც დაფინანსებულია თამბაქოს მოხმარების შემცირების ბლუმბერგის ინიციატივის (BI) მიერ, CDC ფონდის მეშვეობით Bloomberg Philanthropies-ის გრანტით.

ამ ანგარიშში მოცემული მიგნებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორ(ებ)ს და შესაძლოა არ წარმოადგენდეს CDC ფონდის ოფიციალურ პოზიციას. CDC

ანგარიშის მომზადების დასრულების თარიღი: 27 აგვისტო, 2025 წელი.

ზოგადი მიმოხილვა და შესავალი

საქართველო არის ევროპული ქვეყანა დაახლოებით 3.7 მილიონი[1] მოსახლეობით, რომელიც 2006 წლის 15 მაისიდან მიუერთდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციას (WHO FCTC).[2]

2017 წლის 17 მაისს საქართველომ მიიღო თამბაქოს კონტროლის ყოვლისმომცველი კანონმდებლობა, რომელიც სრულად შეესაბამება WHO FCTC-ის ძირითად ვალდებულებებსა და მისი განხორციელების სახელმძღვანელოებს. კანონი სრულად შევიდა ძალაში 2018 წლის 1 მაისს და ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკაში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა.

კანონმდებლობის ძირითადი კომპონენტებია: ქვეყნის მასშტაბით მოწევის აკრძალვა ყველა დახურულ საზოგადოებრივ სივრცეში, სამუშაო ადგილსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში. ეს აკრძალვა ვრცელდება არა მხოლოდ ტრადიციულ თამბაქოს პროდუქტებზე, როგორიცაა სიგარეტი და სიგარა, არამედ ახალ პროდუქტებზეც — ელექტრონულ სიგარეტებზე და გასახურებელი თამბაქოს პროდუქტებზე (HTP). მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული, მცირე გამონაკლისები მაინც არსებობს, ასეთი რეგულაციები რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე მძლავრად და ეფექტურად ითვლება. გარდა ამისა, საქართველოსში მოქმედებს თამბაქოს რეკლამის, პოპულარიზაციისა და სპონსორობის (TAPS) სრული აკრძალვა. ეს მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მარკეტინგს, ღონისძიებების სპონსორობისა და ბრენდის განთავსების აკრძალვას. ასევე, აკრძალულია თამბაქოს პროდუქციის ხილული განლაგება — როგორც საცალო ობიექტების შიგნით, ისე გარეთ, რაც ამ პროდუქტების ხილვადობასა და მათზე წვდომას ამცირებს, განსაკუთრებით არასრულწლოვნებისთვის.[3] სტანდარტიზებული (სადა) შეფუთვის რეგულაცია ძალაში შევიდა 2025 წლის 1 აპრილს.[4]

საქართველოში მოწევის გავრცელება 2016 წელს 31% იყო, ხოლო 2023 წლისთვის 26%-მდე შემცირდა.[5,6] 2017 წელს თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებით საქართველოში,

---

[1] National Statistics Office of Georgia (GeoStat). (2025). *Population and Demography*. Retrieved June 20, 2025: https://www.geostat.ge/en/modules/categories/316/population-and-demography
[2] United Nations. (2006). *4. WHO Framework Convention on Tobacco Control*. Retrieved June 20, 2025: https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=IX-4&chapter=9&clang=_en
[3] Law on "Tobacco Control", 4059-RS. 15/12/2010. Legislative Herald of Georgia. Retrieved June 20, 2025: https://matsne.gov.ge/document/view/1160150?publication=17
[4] Ibid
[5] National Center for Diseases Control and Public Health (NCDC). STEPS Survey, 2016. Retrieved June 20, 2025: https://ncdc.ge/#/pages/file/4c558bf2-4b06-4fd6-a5af-5c98e85c321c
[6] WHO report on the global tobacco epidemic, 2025: warning about the dangers of tobacco. Geneva: World Health Organization; 2025. Licence: CC BY-NC-SA 3.0 IGO.

სულ მცირე, 11,400 გარდაცვალება ფიქსირდებოდა. თუმცა, ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი კლებად ტენდენციას აჩვენებს, რაც მოწევის შემცირებას უკავშირდება.[7]

მნიშვნელოვანი რეფორმებისა და მიღწევების შედეგად, საქართველო ევროპის რეგიონში თამბაქოს კონტროლის ერთ-ერთ ლიდერ ქვეყნად ჩამოყალიბდა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულმა ოფისმა ეს პროგრესი აღიარა და მოამზადა სპეციალური დოკუმენტური ფილმი "Uphill Battle", რომელიც საქართველოში თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის ეფექტურად განხორციელების წარმატებულ ისტორიას ასახავს.[8,9] მიუხედავად ამისა, ბრძოლა დასრულებული არ არის. ინდუსტრიის გავლენა განსაკუთრებით ინტენსიური იყო 2017 წლის მაისში ყოვლისმომცველი რეფორმების მიღებიდან მომდევნო პერიოდში და დღესაც გრძელდება. ეს ანგარიში წარმოაჩენს თამბაქოს ინდუსტრიის (TI) მიმდინარე ჩარევებს ბოლო ორი წელის: 2023–2025 განმავლობაში.

საქართველოსთვის ერთ-ერთი საკვანძო გამოწვევაა WHO FCTC-ის 5.3 მუხლისა და მისი სახელმძღვანელო პრინციპების პრაქტიკაში განხორციელება. კერძოდ, 2018 წელს მომზადდა (და 2022 წელს განახლდა) მთავრობის დადგენილების პროექტი „ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მომზადების, მიღებისა და შესრულების პროცესში, საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის და საჯარო მოსამსახურის თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირებთან ურთიერთობის წესის დამტკიცების შესახებ", რომელიც მიზნად ისახავს საჯარო სამსახურში თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის დაცვას და სახელმწიფო მოხელეებსა და თამბაქოს ინდუსტრიას შორის კომუნიკაციის რეგულირებას. დადგენილება დღემდე ელოდება მთავრობის მხრიდან დამტკიცებას — რაც დიდწილად დაკავშირებულია თამბაქოს ინდუსტრიის მნიშვნელოვან გავლენასთან საქართველოს ხელისუფლებაზე.

2021–2025 წლებში, თამბაქოს ინდუსტრია პოლიტიკოსებსა და ჯანდაცვის პროფესიონალებს აქტიურად რთავდა თამბაქოს/ნიკოტინის ახალი პროდუქტების პოპულარიზაციაში „თამბაქოს ზიანის შემცირების" მარკეტინგული სტრატეგიის გამოყენებით.

---

[7] National Center for Disease Control and Public Health of Georgia (NCDC). (2018). *The Case for Investing in WHO FCTC Implementation in Georgia*. UNDP. Retrieved June 20, 2025: https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/publications/The_Case_for_Investing_in_WHO_FCTC_Implementation in_Georgia.pdf

[8] The uphill battle: the story of Georgia's fight for a tobacco-free future. WHO, May 30, 2022. Retrieved June 20, 2025: https://www.who.int/europe/news/item/30-05-2022-the-uphill-battle--the-story-of-georgia-s-fight-for-a-tobacco-free-future

[9] George Bakhturidze. The impact assessment of law on tobacco control on health and economy of Georgia, December 2019. Retrieved June 20, 2025: https://test.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=92a34feb-3a6b-4895-b623-042279397f18

2024 წლის 29 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა გადასახადის 50%-იანი შემცირება თამბაქოს ნედლეულზე, საღეჭ თამბაქოზე და საჩილიმე თამბაქოზე. ჩვენი შეფასებით, ინიციატივა ლობირებულია ადგილობრივი მწარმოებლების მიერ (მაგ., „თბილისი თამბაქო“) — განსაკუთრებით თამბაქოს ნედლისა და საჩილიმე თამბაქოს მიმართულებით, ხოლო საღეჭი თამბაქოსთვის მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათის დაწესება ემსახურებოდა “ფილიპ მორის ინთერნეიშენალის” (PMI) ინტერესებს, რომელიც ცდილობს სნუსის/ნოკოტინიანი საწუწნი ბალიშების პროდუქციის დატესტვასა და შემოტანას საქართველოს ბაზარზე. ახალი განაკვეთი ძალაში შევიდა 2024 წლის 13 ივნისს — შედეგად, ზემოაღნიშნულ პროდუქტებზე გადასახადი დაახლოებით 24 აშშ დოლარიდან 12 დოლარამდე შემცირდა კილოგრამზე.[10]

თამბაქოს ინდუსტრიამ და მისმა მოკავშირეებმა ასევე შეძლეს სტანდარტიზებული შეფუთვის რეგულაციების ამოქმედების გადავადება: საწყისი ვადა 2018 წლის 1 იანვრიდან გადაიწია 2023 წლის 1 იანვრამდე, შემდეგ 2024 წლის 31 ივლისამდე და საბოლოოდ — 2025 წლის 1 აპრილამდე.[11] 2025 წლის 1 აპრილიდან, ინდუსტრიამ მიმართა მანიპულაციურ ტაქტიკებს — დაბეჭდა და გაავრცელა ასიათასობით ბარათი სტანდარტიზებული შეფუთვის გამოსახულებით, რომლებიც მასობრივად დაიდო ძველი შეფუთვის სიგარეტის კოლოფების წინ საქართველოს საცალო ვაჭრობის ობიექტებში, რაც ქმნიდა მცდარ შთაბეჭდილებას, თითქოს ყველა პროდუქტი უკვე შესაბამისობაში იყო სტანდარტიზებული შეფუთვის რეგულაციებთან.

გარდა ამისა, საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვნეციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრის (FCTC IMCG) მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა გამოავლინა 2025 წლის 24 აპრილით დათარიღებული წერილი „მაგნიტის“ სუპერმარკეტების ქსელის სათაო ოფისიდან. წერილი აძლევდა მითითებას გაყიდვის წერტილებს, რომ დისტრიბუტორი კომპანიის — „JJ 2011“-ის — მხრიდან მიეღოთ მხოლოდ ძველი დიზაინის სიგარეტი და გარანტიას იძლეოდა, რომ დარღვევის შემთხვევაში დისტრიბუტორი აანაზღაურებდა სუპერმარკეტისთვის დაკისრებულ ჯარიმებს.[12]

2025 წლის 1 მაისს, ბიზნესომბუდსმენმა პარლამენტს წარუდგინა კანონმდებლობის ცვლილების ოფიციალური წინადადება, რომლის მიზანი იყო სიგარილოსთვის გამონაკლისის დაწესება სტანდარტიზებული შეფუთვის რეგულაციებიდან და სიგარილოს მოწევის დაშვება ლიცენზირებულ სიგარ-ბარებში. ორი კვირის განმავლობაში პარლამენტის წევრებმა ეს წინადადება საკანონმდებლო ინიციატივად

---

[10] Amendments on “Tax Code”, N 4203-XIVMS-XMP, 29/05/2024. Legislative Herald of Georgia. Retrieved June 20, 2025: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6177582?publication=0

[11] Law on "Tobacco Control", 4059-RS. 15/12/2010. Legislative Herald of Georgia. Retrieved June 20, 2025: https://matsne.gov.ge/document/view/1160150?publication=17

[12] Letter dated April 24, 2025, from the "Magniti" supermarket network's head office.

დაარეგისტრირეს. საქართველოს თამბაქოს კონტროლის ალიანსმა პარლამენტის თავმჯდომარესა და ჯანდაცვის მინისტრს მისწერა წერილები ზემოაღნიშნული ინიციატივის წინააღმდეგ. მიუხედავად ამ ძალისხმევისა, პარლამენტმა 2025 წლის 28 მაისს ცვლილება მიიღო.[13]

თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის გლობალური ინდექსის (Global Tobacco Industry Interference Index) ქულები ფორმირდება ორ წელიწადში ერთხელ, თამბაქოს კონტროლის საუკეთესო მმართველობის გლობალური ცენტრის (Global Center for Good Governance in Tobacco Control) მიერ.[14] საქართველოს ქულა იყო ერთ-ერთი ყველაზე მაღალი 2020 წელს (ქულა: 77; ადგილი: 54 — 57 ქვეყანას შორის), 2021 წელს (ქულა: 80; ადგილი: 76 — 80 ქვეყანას შორის) და 2023 წელს (ქულა: 83; ადგილი 86 —90 ქვეყანას შორის).[15] ეს შედეგები მიუთითებს, იმას რომ თამაბქოს ინდუსტრიას სერიოზული გავლენა აქვს საქართველოში სახელმწიფო სტრუქტურებზე. 2025 წელს მდგომარეობა კვლავ იგივე რჩება.

ამ ანგარიშში წარმოდგენილია თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის მონიტორინგის შედეგები, რომელიც ჩატარდა 2023 წლის აგვისტოდან 2025 წლის ივნისის ჩათვლით. მონიტორინგი აჩვენებს, რომ თამბაქოს ინდუსტრია კვლავაც ახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას საქართველოს მთავრობასა და პარლამენტზე. ქვემოთ მოცემულია კონკრეტული შემთხვევები, რომლებმაც გავლენა მოახდინა WHO FCTC-ის 5.3 მუხლისა და მისი სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელებაზე.

თამბაქოს ინდუსტრიის პროფილი და მარკეტინგი 2023–2025 წლებში

"ევრომონიტორის" 2024 წლის მონაცემებით, საქართველოს სიგარეტის ბაზრის 41.3% ეკავა PMI-ს, 17.9% — Japan Tobacco International-ს (JTI), 16.7% — British American Tobacco-ს (BAT), 7.8% — International Marketing Company-ს, 6.9% — „თბილისი თამბაქოს" (ადგილობრივი მწარმოებელი), 3.4% — Imperial Tobacco-ს, ხოლო 6% — თამბაქოს სხვა კომპანიებს.[16] ამგვარად, საქართველოს თამბაქოს ბაზრის თითქმის 80%-ს აკონტროლებენ ტრანსნაციონალური თამბაქოს კომპანიები (ფიგურა 1).

---

[13] Amendment on Law on "Tobacco Control", N 596-IIMS-XIMP, 28/05/2025. Legislative Herald of Georgia. Retrieved June 20, 2025: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6507691?publication=0

[14] Global Center for Good Governance in Tobacco Control. The Global Tobacco Industry Interference Index. Retrieved June 10, 2023: https://globaltobaccoindex.org

[15] Global Center for Good Governance in Tobacco Control. Global Tobacco Interference Scores – GEORGIA, 2020, 2021, 2023: https://globaltobaccoindex.org/country/GE

[16] Euromonitor International, Ltd. 2024. Tobacco Market Research Data. Retrieved June 20, 2025: https://www.portal.euromonitor.com/statisticsevolution/index



წყარო: Euromonitor, 2024

PMI-ის უარყოფითი გავლენა საქართველოს ჯანმრთელობის პოლიტიკაზე გაიზარდა მას შემდეგ, რაც აშშ-ის სურსათისა და წამლის ადმინისტრაციამ (FDA) 2020 წლის 7 ივლისს IQOS-ს მიანიჭა „მოდიფიცირებული რისკის თამბაქოს პროდუქტის“ (MRTP) მარკეტინგის ნებართვა.[17] FDA-ს გადაწყვეტილებიდან მალევე PMI-მ ოფიციალურად გამოაცხადა IQOS-ის საქართველოს ბაზარზე შესვლა. 2021 წლიდან კომპანიამ გააძლიერა გასახურებელი თამბაქოს ნაწარმის (მაგ., IQOS), ასევე ელექტრონული სიგარეტებისა და ვეიპების აგრესიული და უკანონო მარკეტინგი — მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 2018 წლის 1 სექტემბრიდან ძალაშია თამბაქოს რეკლამის, პოპულარიზაციისა და სპონსორობის სრული აკრძალვა, რომელიც ვრცელდება ახალ პროდუქტებზეც. 2024 წელს ინდუსტრიამ მარკეტინგი გააფართოვა საღეჭ პროდუქტებზეც, როგორიცაა „ZYN“.[18,19] ბოლო წლებში, PMI-ს ინტერესების ერთ-ერთ გავლენიან ლობისტად იქცა საქართველოს ბიზნეს ასოციაცია (BAG), რომლის წევრებს შორის ასევე არის JTI.[20,21]

---

[17] U.S. Food and Drug Administration, FDA Authorizes Marketing of IQOS Tobacco Heating System with "Reduced Exposure" Information. July 07, 2020: https://www.fda.gov/news-events/press-announcements/fda-authorizes-marketing-iqos-tobacco-heating-system-reduced-exposure-information

[18] Forbes Georgia. PMI's IQOS officially enters to Georgian market. July 24, 2020: https://forbes.ge/philip-moris-saqarthvelo-2/

[19] PMI. Smoke-free products. Retrieved June 20, 2025: https://www.pmi.com/our-business/smoke-free-products/oral-smokeless-products

[20] List of Members of the Business Association of Georgia (BAG). Retrieved June 20, 2025: https://bag.ge/en/33

[21] Business Association of Georgia. Tobacco Tactics, updated July 7, 2023. Retrieved June 21, 2025: https://tobaccotactics.org/article/business-association-of-georgia/

2021 წლიდან, PMI იყენებს ახალ ფრონტ-ჯგუფებს — მათ შორის სოციალურ კვლევების ინსტიტუტს (ISR) და უკრაინულ არასამთავრობო ორგანიზაციას „Healthy Initiatives“ — IQOS-ის პოპულარიზაციის გასაძლიერებლად. ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, PMI-ის 2023–2025 წლებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო აქტივობებში, აქტიურად ჰყავდა ჩართული ჯანდაცვის ყოფილი მინისტრები — ანდრია ურუშაძე და ზურაბ ჭიაბერაშვილი — ასევე, ეკონომისტი გიორგი მჟავანაძე.[22,23,24,25] ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის მოადგილე ლევან ჯუღელიც აქტიური რჩებოდა, კერძოდ ამყარებდა კომუნიკაციას სამედიცინო ორგანიზაციებთან და ჯანდაცვის პროფესიონალებთან, PMI-ის ახალი თამბაქო/ნიკოტინის პროდუქტების პოპულარიზაციისა და მათი ჩართვისათვის ტრენინგებსა და კვლევებში.[26]

2021 წლის დასაწყისიდან 2025 წლის ივნისის ჩათვლით, ISR-მა უშუალოდ ჩართო ოჯახის ექიმები, სტომატოლოგები (მათ შორის — პერიოდონტოლოგთა ასოციაცია, როგორც რამდენიმე სემინარის თანაორგანიზატორი), ონკოლოგები, პულმონოლოგები და კარდიოლოგები „თამბაქოს ზიანის შემცირების“ თემატიკის სემინარებისა და ტრენინგების ციკლში. ამ ღონისძიებების ცენტრალური მესიჯი იყო: მწეველ პაციენტებს ურჩიონ სიგარეტიდან IQOS-ზე „გადასვლა“ როგორც „ზიანის შემცირების“ ალტერნატივაზე.[27] ბოლო პერიოდში, ISR-მა და PMI-მ, შერჩეულ სამედიცინო პროფესიონალებთან ერთად, IQOS-სა და ელექტრონულ სიგარეტებთან თანხვედრაში დაიწყეს დასაღეჭი თამბაქოს პროდუქტების — სნუსისა და ნიკოტინის საწუწნი ბალიშების — აქტიური პოპულარიზაცია.[28]

---

[22] Healthy Initiatives Presents Research on Georgia’s Illicit Cigarette Market at Prestigious European Conference. The Presentation was made by Georgian economist Giorgi Mzhavanadze. Published on 18.09.2023. Retrieved June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/healthy-initiatives-presents-research-on-georgia-s-illicit-cigarette-market-at-prestigious-european-conference/

[23] Healthy Initiatives. Illicit cigarette market in Georgia: Potential impact on smoking prevalence and tax revenues. Presentation was made by Georgian economist Giorgi Mzhavanadze on November 13, 2023. Published on 16.11.2023. Retrieved on June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/illicit-trade-can-science-tackle-it/

[24] Healthy Initiatives. Smoking Remains a Significant Challenge for the Countries Across Eastern Europe and Central Asia. The event attended by former Ministers of Health of Georgia Mr. Andrew Urushadze and Mr. Zurab Tchiaberashvili, also economist Giogi Mzhavanadze. Published on 16.02.2024. Retrieved June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/english-smoking-remains-a-significant-challenge-for-the-countries-across-eastern-europe-and-central-asia/

[25] Healthy Initiatives. Tackling Non-Communicable Diseases and Smoking Amid War and Crisis: Global and Regional Actions. The event attended by former Minister of Health of Georgia Mr. Andrew Urushadze. Published on 18.06.2024. Retrieved June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/tackling-non-communicable-diseases-and-smoking-amid-war-and-crisis-global-and-regional-actions/

[26] Levan Jugeli. Profile in linked-in. Retrieved June 21, 2025: https://www.linkedin.com/in/levan-jugeli-8685b21/

[27] FCTC Implementation and Monitoring Center in Georgia. Letter dated June 16, 2025.

[28] TV Formula. Talk on tobacco harm reduction by Mr. Andrew Urushadze and Oncologist Rema Gvamichava. May 4, 2025.

მეთოდოლოგია

ეს ანგარიში დაფუძნებულია Southeast Asia Tobacco Control Alliance-ის (SEATCA) მიერ შემუშავებულ კითხვარზე. ინსტრუმენტი მოიცავს 20 კითხვას, რომლებიც ეფუძნება WHO FCTC-ის 5.3 მუხლის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებს. ანგარიშში გამოყენებული ინფორმაცია მიღებულია მხოლოდ საჯარო წყაროებიდან. შეფასებისთვის გამოიყენება ქულათა სისტემა: დიაპაზონი 0-დან 5-მდე, სადაც **5** აღნიშნავს ინდუსტრიის ჩარევის ყველაზე მაღალ დონეს, ხოლო **1** — დაბალს ან არარსებობას. შესაბამისად, რაც დაბალია ქულა, მით უკეთესია ქვეყნისთვის. 0 ქულა ნიშნავს მტკიცებულების არარსებობას ან შეუსაბამობას. როდესაც ერთ საკითხზე რამდენიმე წყაროა აღმოჩენილი, მინიჭებული ქულა ასახავს მათ საშუალო შეფასებას.

ანგარიში მოიცავს **2023 წლის აგვისტოდან 2025 წლის ივნისამდე** დაფიქსირებულ შემთხვევებს, აგრეთვე **2023** წლამდე მომხდარ, მაგრამ დღემდე რელევანტურ ინციდენტებს.

შემაჯამებელი დასკვნები

1. ინდუსტრიის მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავებაში

2023–2025 წლებში თამბაქოს ინდუსტრიამ (TI) მნიშვნელოვნად გააძლიერა უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკის ფორმირებაზე საქართველოში, განსაკუთრებით — პარლამენტთან, ძირითად სამინისტროებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით. არაერთმა სახელმწიფო უწყებამ — **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ (MoESD), ფინანსთა სამინისტრომ (MoF) და ბიზნესომბუდსმენის ოფისმა (BOO)** — არაერთხელ დაუჭირა მხარი ინდუსტრიისგან წამოსულ შეთავაზებებს, მათ შორის: **სტანდარტიზებული (სადა) შეფუთვის რეგულაციების გადავადებასა** და 2024 წლის მაისში დამტკიცებულ **50%-იან აქციზის შემცირებას** თამბაქოს ნედლეულზე, საჩილიმე და საღეჭ თამბაქოზე.

ბიზნესომბუდსმენმა ფორმალურად წარადგინა წინადადებები, რომლებიც აშკარად ასახავდა თამბაქოს ინდუსტრიის ინტერესებს — მათ შორის, სადა შეფუთვის გადავადება და სიგარილოს გამონაკლისად დატოვება აღნიშნული მოთხოვნებიდან. პარლამენტარებმა ეს წინადადებები შემდგომ საკანონმდებლო ინიციატივებად დაარეგისტრირეს და, თამბაქოს კონტროლის სამოქალაქო სექტორის წინააღმდეგობის მიუხედავად, დაამტკიცეს კიდეც.

მთავრობამ ასევე დაუშვა თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლების მონაწილეობა **სამთავრობო ეკონომიკურ საბჭოებში** და ამით მოახდინა მაღალი თანამდებობის პირებთან ახლო ურთიერთობების შენარჩუნება. **PMI და JTI, საქართველოს ბიზნესასოციაციის** მეშვეობით, რეგულარულად, დახურულ ფორმატებში

ახორციელებდნენ კომუნიკაციას პრემიერ-მინისტრთან და სხვადასხვა მინისტრთან. აღსანიშნავია, რომ **საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი WHO FCTC-ის მე-10 კონფერენციაზე (COP10)** იყო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელ სამინისტროსაც მძლავრი კავშირები აქვს თამბაქოს ინდუსტრიასთან — ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ასეთ საერთაშორისო ფორმატში ჯანდაცვის სამინისტრო გვერდზე იქნა გაწეული. არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ დელეგატის მონაწილეობა ინდუსტრიამ დააფინანსა.

გარდა ამისა, მთავრობა კვლავ აჭიანურებს **WHO FCTC-ის 5.3 მუხლის** განხორციელებისთვის და **"თამბაქოს კონტროლის" შესახებ კანონით** ჯერ კიდევ 2018 წელს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რომელიც იმავე წელს იყო შემუშავებული (და 2022-ში განახლებული), რაც ადასტურებს ინდუსტრიის ჩარევას და გავლენას მაღალი დონის გადაწყვეტილებებზე ან მათ შეჩერებაზე.

2. ინდუსტრიის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ღონისძიებები

საქართველოში 2018 წლის სექტემბრიდან მოქმედი თამბაქოს რეკლამის, პოპულარიზაციისა და სპონსორობის (TAPS) სრული აკრძალვის მიუხედავად, თამბაქოს ინდუსტრია კვლავაც აწარმოებს **უკანონო კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) აქტივობებს,** რომლებიც მიზნად ისახავს საკუთარი იმიჯის გაუმჯობესებას და მთავარ აქტორებზე გავლენის მოხდენას.

2023–2025 წლებში PMI და JTI აქტიურად აფინანსებდნენ და პროპულარიზაციას უწევდნენ CSR-ის სახით შენიღბულ ღონისძიებებს.

PMI-მ, სოციალური კვლევების ინსტიტუტის (Institute of Social Research — ISR) მეშვეობით, დააფინანსა მინიმუმ **10 სემინარი და კონფერენცია**, რომლებიც მიზნად ისახავდა სამედიცინო სფეროს პროფესიონალების—ოჯახის ექიმების, სტომატოლოგების, ონკოლოგებისა და კარდიოლოგების—მიზნობრივ ჩართვას „თამბაქოს ზიანის შემცირების" სახელით გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების (HTP), ელექტრონული სიგარეტებისა და უკვამლო პროდუქტების (სნუსი, ZYN) პოპულარიზაციაში. **2025 წლის მარტში,** PMI-მ აამოქმედა **ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა** *INKOMPASS*, რომელიც გათვლილია სტუდენტებსა და ახალ კურსდამთავრებულებზე, რათა ლოიალური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეს ახალგაზრდობასა და მომავალ პროფესიონალებს ამ კომპანიის მიმართ.

JTI-მ უკანონო მხარდაჭერა გაუწია ქველმოქმედებისა და კულტურის მიმართულების ორგანიზაციებს.

ამგვარი CSR აქტივობები **ხელს უწყობს ხელისუფლების წარმომადგენლებში ლოიალობის გაჩენას** და ინდუსტრიისთვის უფრო ხელსაყრელი გარემოს ფორმირებას, პარალელურად კი **აფერხებს თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის ეფექტიან განხორციელებას.**

3. სარგებელი ინდუსტრიისთვის

2023–2025 წლებში საქართველოს ხელისუფლებამ თამბაქოს ინდუსტრიას მიანიჭა მრავალი **რეგულაციური და ფინანსური უპირატესობა,** რამაც შეასუსტა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკა რაც შეუთავსებელია WHO FCTC-ის ვალდებულებებთან.

კანონმდებლობის გაჭიანურება და ხელსაყრელი ცვლილებები
თამბაქოს სადა შეფუთვის რეგულაციების ამოქმედება არაერთგზის გადაიდო — თავდაპირველი გეგმის მიხედვით 2018 წლიდან 2023-მდე, შემდეგ 2024-მდე და საბოლოოდ 2025 წლის 1 აპრილამდე — **PMI-ის, ამერიკის სავაჭრო პალატის (AmCham)** და ინდუსტრიის სხვა მოკავშირეების ლობირების შედეგად.

2025 წლის 1 მაისს, ბიზნესომბუდსმენმა პარლამენტს წარუდგინა წინადადება **სიგარილოს** სტანდარტიზებული შეფუთვიდან გამონაკლისად დატოვებისა და ლიცენზირებულ სიგარა-ბარებში სიგარილოს მოწევის დაშვების შესახებ. თამბაქოს კონტროლის დარგში მოქმედი საზოგადოების წინააღმდეგობის მიუხედავად, პარლამენტმა ეს ცვლილება **2025 წლის 28 მაისს** მიიღო.

გადასახადების შემცირება
2024 წლის 29 მაისს პარლამენტმა დაამტკიცა **აქციზის გადასახადის 50%-იანი შემცირება თამბაქოს ნედლეულზე, საღეჭ და საჩილიმე თამბაქოზე**, რომელიც ძალაშია 2024 წლის 13 ივნისიდან. გავრცელებული შეფასებით, გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია ლობირებამ: **ადგილობრივი მწარმოებლების** — მაგ., „თბილისი თამბაქოს“ — მხრიდან თამბაქოს ნედლეულსა და საჩილიმე თამბაქოს მიმართულებით და **PMI**-ის მხრიდან — საღეჭი თამბაქოს კუთხით, მათი ბაზრის გაფართოების მიზნებიდან გამომდინარე.

ინდუსტრიის ოპერირების მხარდაჭერა
სახელმწიფო სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას უწევდა ლიბანურ საჩილიმე თამბაქოს კომპანიას — მათ შორის, მშენებლობის, ნედლეულის და აღჭურვილობის ნაწილში. ქარხანა აწარმოებს ჩილიმის არომატებსა და ვეიპის სითხეებს ჩინეთში გასატანად; საბოლოო პროდუქტები კვლავ ბრუნდება საქართველოს ბაზარზე, სადაც ისინი ფართოდ გამოიყენება ახალგაზრდებში.

განხორციელებულ ქმედებათა ეს ერთობლიობა წარმოაჩენს რეგულაციების მათზე მორგებისა და პრეფერენციული მოპყრობის მაგალითს, რაც აძლიერებს ინდუსტრიის გავლენას და ხელს უწყობს მისი ბაზრის გაფართოებას საქართველოში.

4. არასაჭირო კონტაქტები

2023–2025 წლებში **საქართველოს ხელისუფლება აგრძელებდა თამბაქოს ინდუსტრიასთან არასაჭირო და გაუმჭვირვალე ურთიერთობებს,** რაც ეწინააღმდეგება WHO FCTC-ის 5.3 მუხლის რეკომენდაციებს.

მაღალი დონის ჩართულობა
თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლები რეგულარულად ხვდებოდნენ მაღალი თანამდებობის პირებს — **პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ასევე ფინანსთა, ეკონომიკისა და ჯანდაცვის მინისტრებს.** შეხვედრები **დახურულ კარს მიღმა ტარდებოდა** და არანაირი ჩანაწერი ან შედეგი საჯაროდ არ გამოქვეყნებულა, რაც არღვევს გამჭვირვალობის მოთხოვნებს.

ყოფილი თანამდებობის პირები და პოლიტიკური კავშირები
ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, მთავრობის ახლო მოკავშირე და **„თბილისი თამბაქოს“** მფლობელი **ივანე ჩხარტიშვილი,** სავარაუდოდ, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა **2024 წლის** თამბაქოს სხვადასხვა პროდუქტზე **გადასახადების შემცირების** გადაწყვეტილებაში.

ჯანდაცვის ყოფილი მინისტრები — ანდრია ურუშაძე და ზურაბ ჭიაბერაშვილი — აქტიურად მონაწილეობდნენ ინდუსტრიის მხარდაჭერით ორგანიზებულ აქტივობებში „თამბაქოს ზიანის შემცირების“ პოპულარიზაციისთვის; მათთან ერთად ჩართული იყვნენ ეკონომისტი **გიორგი მჟავანაძე** და **ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ლევან ჯუღელი**. ამან კიდევ უფრო შეასუსტა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინტერესები და გააძლიერა ინდუსტრიის მარკეტინგული მიზნები.

ინდუსტრიის მხრიდან დახმარება მთავრობის ფუნქციებისთვის
ფინანსთა სამინისტრო ჯერ-ჯერობით არ უჭერს მხარს WHO FCTC-ის 5.3 მუხლის განხორციელებას იმ მოტივით, რომ ასეთი რეგულაცია შეზღუდავდა ინდუსტრიის „შემოწირულობებს“ სახელმწიფო სტრუქტურებისადმი, როგორიცაა **შემოსავლებისა და საბაჟო სამსახური.**

2023 წელს ინდუსტრიამ — განსაკუთრებით **იაპონური თამბაქოს კომპანიამ (JTI)** — უზრუნველყო: საბაჟო პერსონალის **ტრენინგები**; **ტექნიკური საშუალებების მიწოდება** (მათ შორის დრონები და სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლები); ბიზნესის

მიმართულების სტუდენტებისთვის **სპონსორობები**. ამგვარი „დახმარება“ ართულებს აღმასრულებელი სტრუქტურების დამოუკიდებლობას და ქმნის საეჭვო კავშირებს მარეგულირებლებსა და ინდუსტრიას შორის.

პარტნიორობები და მხარდაჭერის განცხადებები
სახელმწიფო უწყებებმა **ხელი შეუწყვეს ინდუსტრიასთან დაკავშირებულ ინიციატივებს** — მათ შორის **ფინანსურად და ლოგისტიკურად** — ლიბანური კომპანიის მიერ 2022–2023 წლებში **ჩილიმის თამბაქოს ქარხნის** შექმნას. ამგვარი მხარდაჭერა პირდაპირ ეწინააღმდეგება 5.3 მუხლის სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელიც რეკომენდაციას არ იძლევა პარტნიორობებისა და მხარდაჭერის იმგვარ ფორმებზე, რომლებიც ინდუსტრიას ლეგიტიმაციას სძენს.

საქართველოს მთავრობისა და თამბაქოს ინდუსტრიის ურთიერთობა კვლავაც ხშირია, გაუმჭვირვალეა და დაურეგულირებელი ჩარჩოს მიღმაა, რაც ასუსტებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკას და აძლიერებს ინდუსტრიის გავლენას სხვადასხვა სექტორში.

5. გამჭვირვალეობა

WHO FCTC-ის 5.3 მუხლიდან და საქართველოს **“თამბაქოს კონტროლის” კანონიდან** გამომდინარე ვალდებულებების მიუხედავად, მთავრობის ურთიერთობა თამბაქოს ინდუსტრიასთან არ არის გამჭვირვალე. ქვემოთ მოყვანილი მტკიცებულებები წარმოაჩენს რეგულატორული დაცვისა და ურთიერთობების გასაჯაროების არარსებობას.

შეხვედრების საჯარო გამჟღავნების არქონა
სახელმწიფო მოხელეებსა და თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლებს შორის შეხვედრები — მათ შორის **პარლამენტში, ეკონომიკის სამინისტროში (MoESD), ფინანსთა სამინისტროში (MoF), ჯანდაცვის სამინისტროში (MoH), ბიზნესომბუდსმენის ოფისსა (BOO) და პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციაში** — საჯაროდ არ ქვეყნდება. მიუხედავად იმისა, რომ BOO-მ 2023–2025 წლებში ინდუსტრიის წარმომადგენლებთან **ოთხი შეხვედრის** შესახებ ინფორმაცია დაადასტურა, ამ შეხვედრების ამსახველი **არც დღის წესრიგი, არც მონაწილეები და არც შედეგები არ ყოფილა გასაჯაროებული**.

FCTC 5.3 მუხლის აღსრულებასთან დაკაშირებული მთავრობის დადგენილების მიღების გაჭიანურება
„თამბაქოს კონტროლის“ შესახებ კანონში, **2017 წელს განხორციელებული**

საკანონმდებლო ცვლილებით მთავრობას განესაზღვრა ვადა — **2018 წლის 1 სექტემბრამდე** — დაემტკიცებინა დადგენილება, რომელიც **მოაწესრიგებდა საჯარო მოხელეთა კომუნიკაციას თამბაქოს ინდუსტრიასთან**. მიუხედავად იმისა, რომ **NCDC**-მ და **თამბაქოს კონტროლის ალიანსმა** 2018 წელს მოამზადეს (და 2022-ში განაახლეს) დადგენილების პროექტი, **2025 წლის ივნისის მდგომარეობით ის კვლავაც დაუმტკიცებელია**. **2021 წლის აპრილში, პარლამენტმა სპეციალური რეზოლუციით** მოუწოდა მთავრობას დადგენილების მიღებაზე და გამჭვირვალობის გაძლიერებაზე, **თუმცა ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.**

რეგისტრაციისა და გამჟღავნების მოთხოვნების არქონა
არ არსებობს **სამართლებრივი ვალდებულება,** რომ თამბაქოს კომპანიებმა, მათმა აფილირებულმა ორგანიზაციებმა ან მათი სახელით მოქმედმა ლობისტებმა **დაარეგისტრირონ ან გაამჟღავნონ** საკუთარი საქმიანობა და ფინანსური კავშირები საჯარო მოხელეებთან. ეს ხარვეზები მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლებას **არ აქვს ფუნქციური მექანიზმი** ინდუსტრიასთან ურთიერთობების **გამჭვირვალობის** უზრუნველსაყოფად — რაც განაპირობებს მუდმივ ჩარევას და ასუსტებს საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობას.

6. ინტერესთა კონფლიქტი

2023–2025 წლების მონიტორინგმა გამოავლინა **სერიოზული და მოუგვარებელი ინტერესთა კონფლიქტები** საჯარო მოხელეებსა და თამბაქოს ინდუსტრიას შორის. ასეთი ურთიერთობები მნიშვნელოვნად აზიანებს მიუკერძოებელი პოლიტიკის მიღებას და ეწინააღმდეგება WHO FCTC-ის 5.3 მუხლის პრინციპებს.

პოლიტიკურ შემოწირულობებზე აკრძალვის არქონა
საქართველოში **არ არსებობს აკრძალვა,** რომელიც ზღუდავს თამბაქოს ინდუსტრიისა და მასთან აფილირებულ სუბიექტთა მხრიდან **პოლიტიკურ შემოწირულობებს** პარტიებისთვის, კანდიდატებისთვის ან საარჩევნო კამპანიებისთვის. ასევე, არ არსებობს ასეთი ურთიერთობების სრული გამჟღავნების მოთხოვნა, რაც ქმნის საჯარო მოხელეებზე ფარული გავლენის საფრთხეს.

ინდუსტრიასა და ყოფილ მაღალჩინოსნებს შორის მჭიდრო კავშირები
გამოკვეთილი მაგალითია **ივანე ჩხარტიშვილი** — ეკონომიკის ყოფილი მინისტრი და მმართველი პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი მოკავშირე. ის და მისი შვილი, მიხეილ ჩხარტიშვილი („თბილისი თამბაქოს“ მფლობელი), სავარაუდოდ, გავლენას ახდენდნენ 2024 წლის თამბაქოს პროდუქტებზე გადასახადების შემცირებაზე. „ტრანსპარენსი ინტერნეიშენალ საქართველომ“ მანამდეც გამოააშკარავა ამ პირებთან

და ადგილობრივ მწარმოებლებთან დაკავშირებული, კორუფციასთან ასოცირებული მოლაპარაკებები.

ყოფილი ჯანდაცვის მინისტრები, **ანდრია ურუშაძე და ზურაბ ჭიაბერაშვილი,** 2023–2025 წლებში აქტიურად თანამშრომლობდნენ **PMI-ის მიერ დაფინანსებულ** სუბიექტებთან (ISR და უკრაინული „Healthy Initiatives“) თამბაქოს ინდუსტრიის „ზიანის შემცირების“ დღის წესრიგის გასავრცელებლად როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეებზე.

მოქმედ მოხელეთა თამბაქოს ინდუსტრიაში სამუშაო გამოცდილება
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოქმედ მოადგილეს, **ირაკლი ნადარეიშვილს**, 2013–2016 წლებში ეკავა **კომერციული დირექტორის თანამდებობა Imperial Brands-ში** (საქართველო და მოლდოვა). იმავე სამინისტროს კიდევ ერთი მოქმედი მოადგილე, **გენადი არველაძე,** ცნობილია, **როგორც თამბაქოს ინდუსტრიის ინტერესების დამცველი** მთავრობისა და პარლამენტის შიგნით.

გამჟღავნების მექანიზმების ნაკლებობა
არ არსებობს პროცედურა ან მექანიზმი, რომელიც მონიტორინგს ან პრევენციას გაუწევს **ინტერესთა კონფლიქტებს** იმ შემთხვევებში, როდესაც საჯარო მოხელეები ან მათი **ახლო ნათესავები** იკავებენ თანამდებობებს (კონსულტანტები, საბჭოს წევრები და სხვ.) თამბაქოს ინდუსტრიაში. საჯარო ჩანაწერებში ასეთი კავშირები არ იკვეთება, თუმცა ეს, სავარაუდოდ, ასახავს **გამჟღავნების ვალდებულებების არქონას** და არა — კონფლიქტების არარსებობას.

თუ შევაჯამებთ, საქართველოში არ არსებობს დაცვის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუშლიდა ან შეამცირებდა **ინტერესთა კონფლიქტებს** ხელისუფლების წარმომადგენლებსა და თამბაქოს ინდუსტრიას შორის; შედეგად, თამბაქოს ინდუსტრია ინარჩუნებს გავლენებს, რაც აისახება უმაღლეს დონეზე მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებაში.

7. პრევენციული ზომები

საქართველოში **ჯერ კიდევ არ დანერგილა** WHO FCTC-ის 5.3 მუხლით რეკომენდებული ძირითადი **პრევენციული მექანიზმები,** რომლებიც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკას დაიცავდა თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევისგან. 2023–2025 წლებში გამოვლინდა მნიშვნელოვანი მარეგულირებელი ხარვეზები და ინსტიტუციური უმოქმედობა.

ურთიერთობების გამჟღავნების პროცედურის არქონა
არ არსებობს დადგენილი პროცედურა საჯარო მოხელეთა და თამბაქოს ინდუსტრიას

შორის შეხვედრების ჩანაწერების წარმოებისა **(დღის წესრიგი, მონაწილეები, შეხვედრის ანგარიშები ან შედეგები)** და გასაჯაროებისთვის. მათ შორის კომუნიკაცია კვლავ **დახურულ კარს მიღმა** მიმდინარეობს და საზოგადოებას არ აქვს წვდომა შესაბამის დოკუმენტაციაზე.

ქცევის კოდექსი — არ არის ამოქმედებული
მიუხედავად იმისა, რომ **"თამბაქოს კონტროლის" კანონში 2017 წელს** განხორციერლებული საკანონმდებლო ცვლილებებით მთავრობას დაეკისრა დადგენილების მიღება თამბაქოს ინდუსტრიასთან კომუნიკაციის დასარეგულირებლად, **2025 წლის ივნისისთვის ის კვლავ დაუმტკიცებელია. NCDC-სა** და **თამბაქოს კონტროლის ალიანსის** მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი წლების განმავლობაში განხილვაშია და შეფერხებულია **ფინანსთა სამინისტროსა (MoF)** და **პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციაში**.

ინდუსტრიის ანგარიშგების არასაკმარისი მოთხოვნები
ინდუსტრიას მოეთხოვება **მხოლოდ შეზღუდული მონაცემების** მიწოდება — ძირითადად საგადასახადო და სტატისტიკური მიზნებისთვის (მაგ. „საქსტატში"). **არ არსებობს სამართლებრივი ვალდებულება,** რომ გამჟღავნდეს მათი **მარკეტინგული ხარჯები, ლობირების აქტივობები, შემოსავლები, პოლიტიკური კონტრიბუციები ან CSR/ფილანტროპიული ღონისძიებები** — რაც ზედამხედველობისა და აღსრულების სერიოზული ხარვეზია.

თანამდებობის პირებისთვის ცნობიერების ამაღლების პროგრამის არქონა
სახელმწიფო უწყებები **არ ახორციელებენ ტრენინგებს/საგანმანათლებლო პროგრამებს** FCTC 5.3 მუხლის პრინციპებზე და ინდუსტრიული ჩარევის მართვაზე. შესაბამისად, სხვადასხვა უწყების თანამშრომლებს აკლიათ **სახელმძღვანელო სტანდარტები,** როგორ აირიდონ ინდუსტრიის გავლენა პოლიტიკის შემუშავებისას.

საჩუქრებისა და „შემოწირულობების" აკრძალვის არქონა
საქართველოში **არ არის დამტკიცებული ფორმალური პოლიტიკა,** რომელიც კრძალავს ინდუსტრიისგან **საჩუქრების, შემოწირულობების, „პოლიტიკის შემუშავებაში დახმარების" ან სასწავლო ვიზიტების დაფინანსებას.** ეს ზრდის გავლენის რისკს და ქმნის **დაუმსახურებელ წვდომასა და ზემოქმედების შესაძლებლობებს.**

თუ შევაჯამებთ, საქართველოში არ არის მიღებული ზომები, რომლებიც საჭიროა თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის პრევენციისთვის. სანამ სავალდებულო გამჭვირვალობა, ქცევის კოდექსი, სრული გამჟღავნების მოთხოვნები და ცნობიერების ამაღლების პროგრამები არ დამკვიდრდება და არ ამოქმედდება, თამბაქოს

ინდუსტრია განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკისა და საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გაუფასურებას.

რეკომენდაციები

WHO FCTC-ის 5.3 მუხლის ეფექტიანად განხორციელებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკის თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევისგან დასაცავად, საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გაატაროს რიგი პოლიტიკურ-საკანონმდებლო რეფორმები.

რეკომენდაცია 1:
მიიღოს დიდი ხნით დაყოვნებული მთავრობის დადგენილება — „ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მომზადების, მიღებისა და შესრულების პროცესში, საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის და საჯარო მოსამსახურის თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირებთან ურთიერთობის წესის დამტკიცების შესახებ“, (წარდგენილი 2018 წელს, განახლებული 2022-ში). დადგენილებამ უნდა დაარეგულიროს საჯარო მოხელეებსა და ინდუსტრიას შორის ურთიერთობები და დააწესოს სრული გამჟღავნება ყველა სახის კომუნიკაციაზე, შეხვედრაზე, პარტნიორობაზე, მათ შორის დღის წესრიგის, მონაწილეებისა და შედეგების ჩათვლით.

რეკომენდაცია 2:
დამკვიდრდეს საჯარო მოხელეთა ქცევის ყოვლისმომცველი კოდექსი ყველა დონეზე, რომელიც აკრძალავს საჩუქრებს, ფულად ან ნატურალურ მხარდაჭერას და სხვა სახის შემოწირულობებს თამბაქოს ინდუსტრიიდან. კოდექსი უნდა ვრცელდებოდეს სასწავლო ვიზიტების შეთავაზებებზე, პოლიტიკის შემუშავების „დახმარებაზე“ და CSR-თან დაკავშირებულ სპონსორობებზე.

რეკომენდაცია 3
დამკვიდრდეს სავალდებულო გამჭვირვალობისა და ანგარიშგების მექანიზმები. ინდუსტრიას კანონით დაეკისროს მარკეტინგულ ხარჯებზე, ლობირების აქტივობებზე, პოლიტიკურ კონტრიბუციებზე, შემოსავლებსა და CSR პროგრამებზე ანგარიშგება; ინფორმაცია უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი. თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის უწყვეტი მონიტორინგი უნდა იქნეს მხარდაჭერილი თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობისა და შესაბამისი პროგრამების გაძლიერებით.

რეკომენდაცია 4
შეიქმნას და უწყვეტად განხორციელდეს კვალიფიკაციისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამები —5.3 მუხლიდან გამომდინარე, ვალდებულებებსა და ინდუსტრიის ჩარევის რისკებზე — საჯარო მოხელეებისთვის, პარლამენტის წევრებისთვის და მარეგულირებელი ორგანოებისთვის.

რეკომენდაცია 5

დაწესდეს აკრძალვა თამბაქოს ინდუსტრიისა და მასთან აფილირებულთა პოლიტიკურ კონტრიბუციებზე (პარტიები, საარჩევნო კამპანიები და ინდივიდუალური კანდიდატები). პარალელურად, შეიქმნას სათანადო იურიდიული მექანიზმები მოქმედ და ყოფილ საჯარო მოხელეებსა და ინდუსტრიას შორის ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიკაციისა და პრევენციის უზრუნველსაყოფად.

საქართველო

თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის ინდექსი 2025

შედეგები და დასკვნები

	0	1	2	3	4	5
ინდიკატორი 1: პოლიტიკის შემუშავებაში ინდუსტრიის მონაწილეობის დონე						
1. მთავრობა[29] იღებს, მხარს უჭერს ან ამტკიცებს თამბაქოს ინდუსტრიისგან ან მისთანავე თანამშრომლობით მოქმედი ნებისმიერი სუბიექტის/პირისგან შემოთავაზებულ დახმარებას.[30] თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკის განსაზღვრისა და/ან განხორციელებისას (Rec 3.4) [31]						**5**

ბოლო ორ წელიწადში, საქართველოში თამბაქოს ინდუსტრიამ საგრძნობლად გააძლიერა კავშირები გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინტერესების საწინააღმდეგო თანამშრომლობის ძირითადი მაგალითებია:

2024 წლის 29 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა აქციზის გადასახადის 50%-იანი შემცირება თამბაქოს ნდლეულზე, საღეჭ თამბაქოზე და საჩილიმე თამბაქოზე.[32] გავრცელებული შეფასებით, ინიციატივაზე გავლენა იქონია ადგილობრივი მწარმოებლების, მათ შორის „თბილისი თამბაქოს“,[33] ლობირებამ — განსაკუთრებით თამბაქოს ნედლეულისა და საჩილიმე თამბაქოს მიმართულებით, ხოლო საღეჭი თამბაქოსთვის მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათის დაწესება ემსახურებოდა “ფილიპ მორის ინთერნეიშენალის” (PMI) ინტერესებს, რომელიც ცდილობს სნუსის/ნოკოტინიანი საწუწნი ბალიშების პროდუქციის დატესტვასა და შემოტანას საქართველოს ბაზარზე.[34,35]

---

[29] The term “government” refers to any public official whether or not acting within the scope of authority as long as cloaked with such authority or holding out to another as having such authority

[30] The term, “tobacco industry’ includes those representing its interests or working to further its interests, including the State-owned tobacco industry.

[31] “Offer of assistance” may include draft legislation, technical input, recommendations, oversees study tour

[32] Amendments on “Tax Code”, N 4203-XIVMS-XMP, 29/05/2024. Legislative Herald of Georgia. Retrieved June 20, 2025: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6177582?publication=0

[33] Tbilisi Tobacco. Row materials and blending. Retrieved June 21, 2025: https://tbilisitobacco.ge

[34] PMI. Smoke-free products. Retrieved June 20, 2025: https://www.pmi.com/our-business/smoke-free-products/oral-smokeless-products

[35] TV Formula. Talk on tobacco harm reduction by Mr. Andrew Urushadze and Oncologist Rema Gvamichava. May 4, 2025.

	0	1	2	3	4	5
თამბაქოს ინდუსტრიამ და მისმა მოკავშირეებმა წარმატებით გადადეს სტანდარტიზებული (სადა) შეფუთვის რეგულაციების ამოქმედება: საწყისი ვადა 2018 წლის 1 იანვრიდან გადაიწია 2023 წლის 1 იანვრამდე, შემდეგ — 2024 წლის 31 ივლისამდე და საბოლოოდ — 2025 წლის 1 აპრილამდე.[36] უახლესი გადავადება ოფიციალურად მოითხოვა ბიზნესომბუდსმენის ოფისმა, ინდუსტრიის წარმომადგენლებისგან მიღებული წინადადებების საფუძველზე.[37] ამის შემდეგ, პარლამენტის წევრმა ირაკლი კირცხალიამ, 2024 წლის ივნისში, დაარეგისტრირა შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა.[38] ბოლო წლებში, PMI საქართველოს ბიზნესასოციაციის (BAG) მეშვეობით ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ლობისტად ჩამოყალიბდა (BAG-ის წევრებს შორის ასევა JTI).[39,40] PMI იყენებს ახალ ფრონტ-ჯგუფებს — მათ შორის სოციალურ კვლევების ინსტიტუტს (ISR) და უკრაინულ არასამთავრობო ორგანიზაციას „Healthy Initiatives“ — IQOS-ის პოპულარიზაციის გასაგრძელებლად 2023-2025 წლებშიც. ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, PMI-იმ გააგრძელა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო აქტივობებში, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრების — ანდრია ურუშაძისა და ზურაბ ჭიაბერაშვილისა და ასევე, ეკონომისტი გიორგი მჟავანაძის აქტიური ჩართვა იმავე პერიოდში.[41,42,43,44] ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ლევან ჯუღელიც აქტიური რჩებოდა, კერძოდ ამყარებდა კომუნიკაციას						

[36] Law on "Tobacco Control", 4059-RS. 15/12/2010. Legislative Herald of Georgia. Retrieved June 20, 2025: https://matsne.gov.ge/document/view/1160150?publication=17

[37] Business Ombudsman of Georgia. Official Letter to the Chair of the Parliament of Georgia N 00000173, 06/06/2024.

[38] Parliament of Georgia. Legislative documents for the draft amendment N 07-3/456/10, 19.06.2024. Retrieved June 21, 2025: https://parliament.ge/legislation/28842

[39] List of Members of the Business Association of Georgia (BAG). Retrieved June 20, 2025: https://bag.ge/en/33

[40] Business Association of Georgia. Tobacco Tactics, updated July 7, 2023. Retrieved June 21, 2025: https://tobaccotactics.org/article/business-association-of-georgia/

[41] Healthy Initiatives Presents Research on Georgia's Illicit Cigarette Market at Prestigious European Conference. The Presentation was made by Georgian economist Giorgi Mzhavanadze. Published on 18.09.2023. Retrieved June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/healthy-initiatives-presents-research-on-georgia-s-illicit-cigarette-market-at-prestigious-european-conference/

[42] Healthy Initiatives. Illicit cigarette market in Georgia: Potential impact on smoking prevalence and tax revenues. Presentation was made by Georgian economist Giorgi Mzhavanadze on November 13, 2023. Published on 16.11.2023. Retrieved on June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/illicit-trade-can-science-tackle-it/

[43] Healthy Initiatives. Smoking Remains a Significant Challenge for the Countries Across Eastern Europe and Central Asia. The event attended by former Ministers of Health of Georgia Mr. Andrew Urushadze and Mr. Zurab Tchiaberashvili, also economist Giogi Mzhavanadze. Published on 16.02.2024. Retrieved June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/english-smoking-remains-a-significant-challenge-for-the-countries-across-eastern-europe-and-central-asia/

[44] Healthy Initiatives. Tackling Non-Communicable Diseases and Smoking Amid War and Crisis: Global and Regional Actions. The event attended by former Minister of Health of Georgia Mr. Andrew Urushadze. Published on 18.06.2024. Retrieved June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/tackling-non-communicable-diseases-and-smoking-amid-war-and-crisis-global-and-regional-actions/

	0	1	2	3	4	5
სამედიცინო ორგანიზაციებთან და ჯანდაცვის პროფესიონალებთან, PMI-ის ახალი თამბაქო/ნიკოტინის პროდუქტების პოპულარიზაციისა და მათი ჩართვისათვის ტრენინგებსა და კვლევებში.[45] PMI-ს ფრონტ-ჯგუფად მიჩნეული Business Media Georgia (BMG) უკანონოდ არეკლამებდა და პოპულარიზაციას უწევდა HTP-ებს როგორც „ზიანის შემცირების“ ინსტრუმენტს. 2024 წლის ოქტომბერში, BMG ჟურნალისტი ელენე კვაჭილაშვილი ეწვია PMI-ს შტაბ-ბინას შვეიცარიაში მათ მიერ ორგანიზებულ „ინოვაციების“ კონფერენციაზე დასასწრებად; ღონისძიების ძირითადი მიზანი იყო HTP-ების პოპულარიზაცია.[46]						
2. მთავრობა იღებს, მხარს უჭერს ან ამტკიცებს თამბაქოს ინდუსტრიის მიერ (ან ინდუსტრიასთან თანამშრომლობით) შედგენილ <u>პოლიტიკასა თუ საკანონმდებლო დოკუმენტებს.</u> (Rec 3.4)						**5**
ბოლო ორ წელს (2023–2025) საქართველოს პარლამენტი და რამდენიმე სამთავრობო უწყება — მათ შორის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MoESD), ფინანსთა სამინისტრო (MoF) და ბიზნესომბუდსმენის ოფისი (BOO) — მუდმივად უჭერდნენ მხარს ინდუსტრიისგან წამოსულ წინადადებებს. აღნიშნული სუბიექტები ინდუსტრიის წარმომადგენლებთან მუდმივ კომუნიკაციაში არიან და შეხვედრებს ხშირად გაუმჭვირვალე პირობებში ატარებენ. როგორც ანგარიშის წინა სექციაშია აღწერილი, 2024 წელს პარლამენტმა გადაავადა სტანდარტიზებული შეფუთვის ამოქმედება[47] და დაამტკიცა აქციზის 50%-იანი შემცირება თამბაქოს ნედლეულსა და რიგ პროდუქტებზე.[48] ოფიციალურ წერილობით კომუნიკაციაში BOO-მ განაცხადა, რომ 2023–2025 წლებში თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლებთან მხოლოდ ოთხი შეხვედრა გამართა.[49] თუმცა არაფერი გაუმჟღავნებია ამ შეხვედრების დღის წესრიგის, მონაწილეთა შემადგენლობისა და მიღებული შეთანხმებების/ვალდებულებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 6 ივნისს BOO-მ ოფიციალურად მიმართა						

[45] Levan Jugeli. Profile in linked-in. Retrieved June 21, 2025: https://www.linkedin.com/in/levan-jugeli-8685b21/

[46] **https://bm.ge/news/kvleva-da-ganvitareba-rd**

[47] Parliament of Georgia. Legislative documents for the draft amendment N 07-3/456/10, 19.06.2024. Retrieved June 21, 2025: https://parliament.ge/legislation/28842

[48] Amendments on "Tax Code", N 4203-XIVMS-XMP, 29/05/2024. Legislative Herald of Georgia. Retrieved June 20, 2025: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6177582?publication=0

[49] Business Ombudsman of Georgia. Response to the FCTC Implementation and Monitoring Center in Georgia, N 00000101, 07/04/2025.

	0	1	2	3	4	5
პარლამენტს თხოვნით — სტანდარტიზებული შეფუთვის რეგულაციის გადავადების შესახებ.[50]						
მთავრობა აძლევს უფლებას/იწვევს თამბაქოს ინდუსტრიას მონაწილეობაზე სამთავრო უწყებათაშორისო /მრავალსექტორულ კომიტეტში/საკონსულტაციო ორგანოში, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკას. (Rec 4.8)						**5**
თამბაქოს ინდუსტრია კვლავ ატარებს დახურულ შეხვედრებს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით — ეკონომიკურ ბლოკში მომუშავეებთან. ინდუსტრიის ინტერესების მთავარ მხარდამჭერებად და ლობისტებად მთავრობაში გამოიკვეთა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MoESD) და ბიზნესომბუდსმენის ოფისი (BOO). 2014 წლიდან MoESD ახორციელებს სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“, რომელმაც ადგილობრივი თამბაქოს წარმოებასაც გაუწია მხარდაჭერა.[51] ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე აქტიურად იცავს თამბაქოს ინდუსტრიის ინტერესებს როგორც მთავრობის, ასევე პარლამენტის დონეზე.[52,53] 2018 წელს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (NCDC), საქართველოს თამბაქოს კონტროლის ალიანსთან თანამშრომლობით, მოამზადა მთავრობის დადგენილების პროექტი WHO FCTC-ის 5.3 მუხლის განხორციელებისთვის. დოკუმენტი 2018 წლის ივნისში გადაეგზავნა პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციას, თუმცა 2025 წლისთვის — შვიდი წლის შემდეგ — კვლავ განხილვის რეჟიმშია და არ არის მიღებული. ალიანსის შეფასებით, ეს ხანგრძლივი შეყოვნება განპირობებულია თამბაქოს ინდუსტრიის მნიშვნელოვანი ზეგავლენით საქართველოს ხელისუფლებასა და პოლიტიკის ფორმირების პროცესებზე.[54] 2021 წლის 13 აპრილს, პარლამენტმა მიიღო სპეციალური რეზოლუცია და მიმართა მთავრობას — დროულად მიიღოს დადგენილება და გააძლიეროს გამჭვირვალობა თამბაქოს ინდუსტრიასთან						

[50] Business Ombudsman of Georgia. Official Letter to the Chair of the Parliament of Georgia, N 00000173, 06/06/2024.
[51] Governmental Decree N365, 30.05.2014 on “adoption of State program regarding “Enterprise in Georgia”. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2362780?publication=0
[52] Natia Amiranashvili. George Bakhturidze: Tobacco control remains on the level of declarations. Liberali. September 29, 2014: http://liberali.ge/news/view/12396/giorgi-bakhturidze-tambaqos-kontroli-gantskhadebebis-doneze-rcheba
[53] Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. Gennady Arveladze, Deputy Minister. Retrieved June 22, 2025: https://www.economy.ge/?page=deputy-ministers&deputy=5&fname=გენადი_არველაძე&lang=en
[54] Georgian Public Broadcasting Company. Statement of the Tobacco Control Alliance in Georgia. April 3, 2019: https://1tv.ge/news/tambaqos-kontrolis-aliansi-ganckhadebas-avrcelebs/

	0	1	2	3	4	5
ურთიერთობებში.[55,56] 2022–2023 წლებში NCDC-მ განაახლა მუშაობა FCTC 5.3 მუხლის განხორციელებაზე, ჩაატარა რამდენიმე კონსულტაცია შესაბამის უწყებებთან და საკვანძო მხარეებთან; განახლებული ნორმატიული აქტის პროექტი 2023 წლის ბოლოს აიტვირთა მთავრობის ოფიციალურ პორტალზე, თუმცა კვლავ ელოდება ეკონომიკური ბლოკის მხრიდან თანხმობას. ამასთან, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტთან არსებულმა ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებათა პრევენციის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭომ გამართა სპეციალური მოსმენა FCTC დებულებათა შესრულებისა და ეროვნული რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე.[57] საბჭომ მთავრობას მოუწოდა, მიიღოს FCTC 5.3 მუხლის განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტი. თამბაქოს ინდუსტრიის და საქართველოს ბიზნესასოციაციის (BAG) წარმომადგენლები მონაწილეობენ მთავრობის ეკონომიკური საბჭოს მუშაობაში.[58] პრემიერ-მინისტრი პერიოდულად მართავს შეხვედრებს BAG-ის წევრებთან, მათ შორის — თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლებთან.[59,60,61] PMI-მა არ მიიღო მონაწილეობა ბიზნეს-სექტორის პროტესტში მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველო 2029 წლამდე შეაჩერებდა ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებებს[62] — რაც ასევე მკაფიოდ ასახავს ინდუსტრიასა და ხელისუფლებას შორის ახლო კავშირებს.						
4. მთავრობა ნიშნავს ან აძლევს უფლებას თამბაქოს ინდუსტრიის (მათ შორის — სახელმწიფო საკუთრებაში მყოფის) წარმომადგენლებს შევიდნენ COP-ის ან სხვა შესაბამისი ორგანოს დელეგაციაში, ან იღებს მათგან					**4**	

[55] Healthcare and Social Issues Committee of the Parliament of Georgia. Post legislative scrutiny (PLS) on the Law of Georgia "on Tobacco Control" – Final Report. 2019: https://parliament.leavingstone.club/storage/files/shares/naak/jandacva/tambaqo/report_eng.pdf
[56] Parliament of Georgia. Resolution of the Parliament N 455-IVms-Xmp, adopted April 13,2021: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5148191?publication=0
[57] Parliament of Georgia. Meeting of scientific-consultative body under the healthcare committee of the Parliament of Georgia on Oct 2, 2023. Retrieved June 22, 2025: https://www.parliament.ge/media/news/janmrtelobis-khelshetsqobisa-da-daavadebata-preventsiis-sametsniero-sakonsultatsio-sabchom-morigi-skhdoma-gamarta
[58] Economic Council of the Government. Decree N 592, Dec 26, 2022: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5666418?publication=0
[59] TV Imedi. Meeting of Primer Minister with Businessmen. September 17, 2024. Retrieved June 22, 2025: https://www.youtube.com/watch?v=n2zujIVFg5U
[60] Georgian Public Broadcasting Company. Meeting of Prime Minister with Businessmen. September 17, 2024: https://1tv.ge/video/premier-ministris-shekhvedra-biznesis-warmomadgenlebtan-2/
[61] Georgian office of Radio Freedom. "We need peace" – Kobakhidze's meeting with businessmen continued more than 4 hours. December 23, 2024: https://www.radiotavisupleba.ge/a/პრემიერი-მსხვილ-ბიზნესს-შეხვდა/33250298.html
[62] Free business statement on the portal: https://freebusiness.ge/home

	0	1	2	3	4	5
სპონსორობას დელეგატებისთვის (მაგ. COP4 & 5, INB 4 5, WG)[63] (Rec 4.9 & 8.3) *არასაპარლამენტო (non-COP) წელს ინარჩუნებს COP წლის ქულას*						

პირველად, საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი WHO FCTC-ის COP10-ზე იყო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი და არა ჯანდაცვის სამინისტროსი.[64] დანიშნული ხელმძღვანელი, გივი ზედელაშვილი, იკავებს ვაჭრობის განვითარებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიციას,[65] რომელიც უშუალოდ ექვემდებარება მინისტრის მოადგილეს გენადი არველაძეს[66] — საჯაროდ ცნობილს ინდუსტრიასთან კავშირებით. არველაძე აქტიურად იყო ჩართული 2016–2017 წლებში საქართველოს თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის მიღების დებატებში და მუდმივად იცავდა ინდუსტრიის ინტერესებსა და „უფლებებს“.

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ზედელაშვილის მონაწილეობა COP10-ში შესაძლოა პირდაპირ ან ირიბად დაფინანსებული იყო თამბაქოს ინდუსტრიის მიერ. დელეგაციის კიდევ ერთი წევრი წარმოადგენდა NCDC-ს ჯანდაცვის სამინისტროს (MoH) მხრიდან.[67] მიუხედავად ამისა, დელეგაციის ხელმძღვანელის როლი, როგორც ჩანს, მიმართული იყო MoH-ის პოზიციის ბლოკირებაზე კონფერენციის მიმდინარეობისას. არსებული ცნობების მიხედვით, ზედელაშვილი მოქმედებდა მინისტრის მოადგილე არველაძის ინსტრუქციებით და, ერთ შემთხვევაში, მასთან კონსულტაციის შემდეგ, მოუწოდა არველაძეს დაკონტაქტებოდა ჯანდაცვის პირველ მოადგილეს. შედეგად, MoH-ის დელეგატს შეუზღუდეს შესაძლებლობა, COP10-ზე ღიად დაეფიქსირებინა მხარდაჭერა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკვანძო პოზიციებისთვის თამბაქოს კონტროლის საკითხებში.

ინდიკატორი 2: ინდუსტრიის CSR აქტივობები

[63] Please annex a list since 2009 so that the respondent can quantify the frequency, http://www.who.int/fctc/cop/en/
[64] WHO FCTC. COP 11, list of participants. Retrieved June 22, 2025: https://iris.who.int/bitstream/handle/10665/377693/fctc-cop10-div-1-list-of-participants-en.pdf?sequence=1
[65] Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. Department of Trade Development and International Economic Relation. Retrieved June 22, 2025: https://www.economy.ge/?page=departments&dep=103&lang=en
[66] Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. Gennady Arveladze, Deputy Minister. Retrieved June 22, 2025: https://www.economy.ge/?page=deputy-ministers&deputy=5&fname=გენადი_არველაძე&lang=en
[67] WHO FCTC. COP 11, list of participants. Retrieved June 22, 2025: https://iris.who.int/bitstream/handle/10665/377693/fctc-cop10-div-1-list-of-participants-en.pdf?sequence=1

	0	1	2	3	4	5
5. A. სახელმწიფო უწყებები ან მათი წარმომადგენლები იწონებენ, მხარს უჭერენ, პარტნიორობენ ან მონაწილეობენ თამბაქოს ინდუსტრიის იმ აქტივობებში, რომლებიც „საზოგადოებრივად პასუხისმგებელად“ არის წარმოდგენილი (მაგ., გარემოსდაცვითი პროგრამები). *(Rec 6.2)* B. სახელმწიფო (მისი უწყებები და ოფიციალური პირები) იღებს CSR ტიპის წვლილს[68] — ფულადს ან ნატურალურს — თამბაქოს ინდუსტრიიდან ან მის ინტერესებზე მომუშავე სუბიექტებიდან (მაგ., პოლიტიკური, სოციალური, ფინანსური, საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი და სხვა სახის მხარდაჭერა), მათ შორის გარემოსდაცვითი ან EPR აქტივობები *(COP10 გადაწყვეტილება)*. შენიშვნა: აღსრულების მხარდაჭერა ამ კითხვაში არ შედის, რადგან იგი მოცემულია სხვა კითხვაში. *(Rec 6.4)*				**3**		

[68] political, social financial, educations, community, technical expertise or training to counter smuggling or any other forms of contributions

	0	1	2	3	4	5

საქართველოს ბაზარზე თამბაქოს ინდუსტრია კვლავ უკანონოდ ახორციელებს ახალი პროდუქტების — გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების (HTP), ელექტრონული სიგარეტებისა და საღეჭი თამბაქოს — პოპულარიზაციას და სპონსორობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თამბაქოს ყველა სახის რეკლამა, პოპულარიზაცია და სპონსორობა (მათ შორის HTP-ებისა და ელექტრო-სიგარეტებისთვის) აკრძალულია საქართველოში 2018 წლის 1 სექტემბრიდან.[69]

თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრმა საქართველოში (FCTC IMCG) აღმოაჩინა HTP-ის, ვეიპებისა და სნუსის პოპულარიზაციის რამდენიმე უკანონო ეპიზოდი, რომლებიც ორგანიზებული იყო სოციალური კვლევების ინსტიტუტის (ISR) მიერ PMI-ის დაფინანსებით. PMI-ის მხარდაჭერით 2023–2025 წლებში ჩატარდა მინიმუმ 10 სემინარი/შეხვედრა/კონფერენცია ექიმებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.[70]

2025 წლის მარტის ბოლოს, PMI-მ გამოაცხადა ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა INKOMPASS, რომელიც მიმართულია ახალგაზრდა პროფესიონალებზე — უნივერსიტეტების ბაკალავრიატის/მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები და 2023–2024 წლების კურსდამთავრებულები. სტაჟირება დაიწყო 2025 წლის ივნისში და დასრულდება 2026 წლის იანვარში.[71]

JTI-მ საქართველოში — მათ შორის 2023–2025 წლებში — უკანონო მხარდაჭერა გაუწია კულტურულ და საქველმოქმედო ორგანიზაციებს: *Caritas Georgia*, *Humanitarian Canteen in Tbilisi*, ხანდაზმულთა დღის ცენტრი „ჰარმონია“, Home Care Program, ბავშვთა დახმარების *McClain Association for Children (MAC)* — AmCham Georgia Scholarship Program-ის გზით, სსიპ „მარიკა“, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი (მხარდაჭერა 2011 წლიდან) და “თეატრი 42”.[72] ამგვარი უკანონო სპონსორობითა და პოპულარიზაციით JTI ლოიალობას უყალიბებს სახელმწიფო მოხელეებს და ასუსტებს თამბაქოს კონტროლის რეგულაციების აღსრულებას.

ინდიკატორი 3: სარგებელი თამბაქოს ინდუსტრიისთვის

[69] Law on "Tobacco Control", 4059-RS. 15/12/2010. Legislative Herald of Georgia. Retrieved June 20, 2025: https://matsne.gov.ge/document/view/1160150?publication=17

[70] FCTC Implementation and Monitoring Center. Letter dated June 16, 2025.

[71] PMI internship program INKOMPASS, 2025: https://www.inkompass.global/georgia-internship-program

[72] JTI. Investing in local communities. Retrieved June 22, 2025: https://www.jti.com/en/our-company/where-we-operate/georgia/investing-in-local-communities

	0	1	2	3	4	5
6. მთავრობა აკმაყოფილებს თამბაქოს ინდუსტრიის თხოვნებს, რომ გაიზარდოს ვადები თამბაქოს კონტროლის კანონის ამოქმედებისთვის ან მოხდეს მისი გადავადება (მაგ., PHW-სთვის 180 დღე გავრცელებული პრაქტიკაა; აქციზის ზრდა შეიძლება ერთი თვის განმავლობაში ამოქმედდეს) *(Rec 7.1)*						**5**

WHO FCTC-ის 5.3 მუხლისა და საქართველოს "თამბაქოს კონტროლის" შესახებ კანონის 6.4 მუხლის შესაბამისად,[73] მთავრობას 2018 წლის სექტემბრამდე უნდა მიეღო დადგენილება „ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მომზადების, მიღებისა და შესრულების პროცესში, საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის და საჯარო მოსამსახურის თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირებთან ურთიერთობის წესის დამტკიცების შესახებ". თუმცა, 2025 წლის ივნისისათვის, ეს დადგენილება კვლავ განხილვის რეჟიმშია და არ არის მიღებული.

სხვა მაგალითი: "თამბაქოს კონტროლის" შესახებ კანონით, სტანდარტიზებული (სადა) შეფუთვის სავალდებულო ნორმა თავდაპირველად ძალაში 2018 წლის იანვრიდან უნდა შესულიყო, თუმცა გადაიდო 2023 წლის იანვრამდე — PMI-ის და ამერიკის სავაჭრო პალატის ჩარევის შედეგად.[74] შემდგომში, ინდუსტრიის წინადადებით, ვადა კვლავ გადაიწია 2024 წლის 31 ივლისამდე — პარლამენტის მიერ 2022 წლის 29 ნოემბერს დამტკიცებული ცვლილებით, სერიოზული არგუმენტაციისა და წინააღმდეგობის გარეშე.[75] ბოლო გადავადება განხორციელდა 2024 წლის ივნისში, როდესაც ამოქმედების თარიღი გადაიწია 2025 წლის 1 აპრილამდე.[76]

2025 წლის 1 აპრილიდან, ინდუსტრიამ მიმართა მანიპულაციურ ტაქტიკებს — დაბეჭდა და გაავრცელა ასიათასობით ბარათი სტანდარტიზებული შეფუთვის გამოსახულებით, რომლებიც მასობრივად დაიდო ძველი შეფუთვის სიგარეტის კოლოფების წინ საქართველოს საცალო ვაჭრობის ობიექტებში, რაც ქმნიდა მცდარ შთაბეჭდილებას, თითქოს ყველა პროდუქტი უკვე შესაბამისობაში იყო სტანდარტიზებული შეფუთვის რეგულაციებთან.

[73] Law on "Tobacco Control", 4059-RS. 15/12/2010. Legislative Herald of Georgia. Retrieved June 20, 2025: https://matsne.gov.ge/document/view/1160150?publication=17

[74] Parliament of Georgia. Law of Georgia on "Tobacco Control". Amendment N 1278 RS. Retrieved June 22, 2025: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3754138?publication=0

[75] Parliament of Georgia. Law of Georgia on "Tobacco Control". Amendment N 2127-IXM-XMP. Retrieved June 22, 2025: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5626557?publication=0

[76] Parliament of Georgia. Law of Georgia on "Tobacco Control". Amendment N 4361-XIVMS-XMP. Retrieved June 22, 2025: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6206030?publication=0

	0	1	2	3	4	5

გარდა ამისა, FCTC IMCG-ის მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა გამოავლინა 2025 წლის 24 აპრილით დათარიღებული წერილი სუპერმარკეტების ქსელ „მაგნიტის“ სათაო ოფისიდან. წერილი ავალდებულებდა სავაჭრო ობიექტებს, რომ დისტრიბუტორი კომპანია შპს „JJ 2011“-გან მიეღოთ მხოლოდ ძველი შეფუთვის კოლოფები და ჰპირდებოდა, რომ კანონის დარღვევისათვის დაკისრებულ ჯარიმებს დისტრიბუტორი თავად აანაზღაურებდა.[77]

2025 წლის 1 მაისს, ბიზნესომბუდსმენის ოფისმა (BOO) პარლამენტს წარუდგინა ოფიციალური საკანონმდებლო წინადადება.[78] ორ კვირაში კი, პარლამენტის წევრებმა — შოთა ბერეკაშვილმა, მარიამ ლაშხმა, ირაკლი კირცხალიამ, ლევან მაჭავარიანმა, ვახტანგ თურნავამ და გიორგი ბარვენაშვილმა — იგივე საკანონმდებლო წინადადება უკვე საკანონდებლო ინიციატივად დაარეგისტრირეს “თამბაქოს კონტროლის” შესახებ კანონში შესაბამისი ცვლილების მიზნით: სიგარილოს გამონაკლისი სტანდარტიზებული შეფუთვიდან და მისი მოწევის დაშვება ლიცენზირებულ სიგარ-ბარებში. საპასუხოდ, საქართველოს თამბაქოს კონტროლის ალიანსმა ოფიციალური წერილებით მიმართა პარლამენტის თავმჯდომარესა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ინიციატივის ჩაგდების მოთხოვნით. მიუხედავად ძლიერი წინააღმდეგობისა, პარლამენტმა ცვლილება მიიღო 2025 წლის 28 მაისს.[79]

საქართველო ჯერ არ მიერთებია WHO FCTC-ის ოქმს “თამბაქოს პროდუქტების უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრის შესახებ”. თამბაქოს ინდუსტრია კვლავ ეწინააღმდეგება ეფექტიანი კონტროლის ზომების დანერგვას, მათ შორის რეალიზაციის, დისტრიბუციის, იმპორტისა და ექსპორტის ლიცენზირებას, აგრეთვე მიკვლევადობა-თვალყურის მიდევნების (tracking & tracing) სისტემის სრულფასოვან ამოქმედებას. საკითხზე გაიმართა არაერთი შეხვედრა — პარლამენტის წევრების, ფინანსთა სამინისტროს (MoF), ჯანდაცვის სამინისტროს (MoH) და სხვა საკვანძო მხარეთა წარმომადგენლებთან; მიუხედავად ამისა, ინდუსტრიის გავლენა კვლავ მნიშვნელოვანია. ფინანსთა სამინისტრომ გამოიჩინა დაინტერესება, თუმცა ეს უწყება და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MoESD) კვლავ არ აძლევენ აუცილებელ თანხმობას, რათა

[77] Letter dated April 24, 2025, from the "Magniti" supermarket network's head office.

[78] Parliament of Georgia. Law of Georgia on “Tobacco Control”. Amendment proposal N 1-3822/25/11. Retrieved June 22, 2025: https://parliament.ge/legislation/30697

[79] Amendment on Law on “Tobacco Control”, N 596-IIMS-XIMP, 28/05/2025. Legislative Herald of Georgia. Retrieved June 20, 2025: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6507691?publication=0

	0	1	2	3	4	5
საქართველომ გააგრძელოს ზემოაღნიშნულ საერთაშორისო ოქმზე მიერთების პროცესი.[80,81] 2023 წელს, სახელმწიფო სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ მრავალმხრივი მხარდაჭერით დაეხმარა ლიბანური ჩილიმის თამბაქოს ქარხნის შექმნას საქართველოში — მათ შორის საფინანსო მხარდაჭერით მშენებლობაზე, ნედლეულის შესყიდვაზე და აღჭურვილობის დამონტაჟებაზე, რომელიც საჭირო იყო ჩილიმის თამბაქოს შემოწმებისა და წარმოებისთვის.[82] ქარხანა „H Hookah“ აწარმოებს ვეიპის სითხეებს, რომლებიც იგზავნება ჩინეთში ვეიპ პროდუქტების დასამზადებლად, ხოლო საბოლოო პროდუქცია შემდგომ ბრუნდება საქართველოში რეალიზაციისთვის.[83] ვეიპ პროდუქტების ძირითადი მომხმარებლები საქართველოში არიან ბავშვები და ახალგაზრდები. პროდუქციის უკანონო პოპულარიზაციის და არასრულწლოვნებზე გაყიდვების გამო, 15–16 წლის ასაკობრივ ჯგუფში გავრცელება გაორმაგდა — 2019 წლის 7%-იდან 2024 წელს 15%-მდე.[84]						
7. მთავრობა ანიჭებს პრივილეგიებს, სტიმულებს, საგადასახადო შეღავათებს, სუბსიდიებს, ფინანსურ წახალისებებს ან სხვა სარგებელს თამბაქოს ინდუსტრიას (Rec 7.3)						**5**
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MoESD) და ბიზნესომბუდსმენის ოფისი (BOO) მთავარ სამთავრობო მხარდამჭერებად და ლობისტებად რჩებიან ინდუსტრიის ინტერესებისთვის. „აწარმოე საქართველოში“ — სახელმწიფო პროგრამის — ფარგლებში 2014 წლიდანვე ხორციელდება ადგილობრივი თამბაქოს წარმოების მხარდაჭერა.[85] სააგენტოს ვებგვერდზე პრიორიტეტებად ჩამოთვლილია, მათ შორის, თამბაქოს წარმოება/მეწარმეობა და						

[80] Prime Time. Tobacco Black Market – the places where you can find most violations. August 11, 2021. Retrieved June 22, 2025: https://old.primetime.ge/tambaqos-shavi-bazari-adgilebi-saqartveloshi-sadats-kvelaze-meti-kanondarghvevaa

[81] GEOECOHUB. Meeting held in Tbilisi to promote accession to the Protocol to Eliminate Illicit Trade in Tobacco Products. March 24, 2022: http://geoecohub.ge/2022/03/24/თბილისში-გაიმართა-შეხვედ/

[82] Business Media. With the support of the state agency "Enterprise in Georgia", a hookah new enterprise was opened in Kobuleti. July 14, 2023: https://bm.ge/news/saagentos-awarmoe-saqartveloshi-mxardacherit-qobuletshi-chilimis-aromatebis-sawarmo-gaixsna/138661

[83] Comersant.ge. Hookah aroma factory in Kobuleti enlarges export markets in USA and Brazil. 04.03.2024: https://commersant.ge/news/busuness/qobuletshi-tsarmoebuli-chilimis-aromatebis-satsarmo-saeqsporto-bazrebs-afartoebs-da-ashsh-sa-da-braziliashits-gadis

[84] EUDA. 2025. Key findings from the 2024 European School Survey Project on Alcohol and Other Drugs (ESPAD). DOI: 10.2810/5746644

[85] Government of Georgia. Decree N365, 30.05.2014 on “adoption of State program regarding “Enterprise in Georgia”. Retrieved June 15, 2023: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2362780?publication=0

	0	1	2	3	4	5

საცალო გაყიდვა.[86,87] სახელმწიფოს ამ სააგენტოს მიერ ლიბანური თამბაქოს კომპანიის მხარდაჭერის უახლესი მაგალითი აღწერილია წინა პუნქტში (კითხვა 6).

უბაჟო ვაჭრობის ზონებში გაყიდულ თამბაქოს პროდუქტებზე არ ვრცელდება პიქტოგრამული სამედიცინო გაფრთხილებების (PHW) და სტანდარტიზებული (სადა) შეფუთვის მოთხოვნები.[88] უბაჟო ვაჭრობის ზონების მოვაჭრეებს შეუძლიათ თამბაქოს პროდუქციის შეუზღუდავად გამოფენა. საქართველოში შემომსვლელ საერთაშორისო მგზავრებს უფლება აქვთ განბაჟების გარეშე შემოიტანონ 200 ღერი სიგარეტი ან 50 სიგარილო ან 50 სიგარა ან 250 გრამი თამბაქო.[89]

მოწევა დაშვებულია კაზინოებში და იმ სლოტ-კლუბებში, სადაც ფუნქციონირებს 20 ან მეტი სლოტ-მანქანა და სლოტ-კლუბის მოსაწყობად ყოველწლიურად იხდიან 200,000 ლარის ან მეტი ღირებულების ლიცენზიის საფასურს.[90] 2025 წლის 29 მაისიდან, ლიცენზირებულ სიგარა-ბარებში ნებადართული გახდა სიგარილოს მოწევაც.[91]

მთავრობას, 2019 წლის ნოემბრის შემდეგ, არ წარუდგენია თამბაქოზე გადასახადის ზრდის ინიციატივა და არ განუხორციელებია ინფლაციაზე ინდექსაციაც კი.[92] ამის ნაცვლად, 2024 წლის 29 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა გადასახადის 50%-იანი შემცირება თამბაქოს ნედლეულზე, საღეჭ თამბაქოზე და საჩილიმე თამბაქოზე. ჩვენი შეფასებით, ინიციატივა ლობირებულია ადგილობრივი მწარმოებლების მიერ (მაგ., „თბილისი თამბაქო“) — განსაკუთრებით თამბაქოს ნედლეულისა და საჩილიმე თამბაქოს მიმართულებით, ხოლო საღეჭი თამბაქოსთვის მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათის დაწესება ემსახურებოდა “ფილიპ მორის ინთერნეიშენალის” (PMI) ინტერესებს, რომელიც ცდილობს სნუსის/ნოკოტინიანი საწუწნი ბალიშების პროდუქციის დატესტვასა და შემოტანას საქართველოს ბაზარზე. ახალი განაკვეთი ძალაში შევიდა 2024 წლის 13 ივნისს —

---

[86] GeoStat. National Classificatory of Georgia, Types of economic activity, sec 006-2016, redaction 2. 2016. Retrieved June 22, 2025: https://www.enterprisegeorgia.gov.ge/files/1/ეკონომიკური%20საქმიანობის%20სახეები.pdf

[87] Agency “Enterprise in Georgia”, NACE activity code. Retrieved June 22, 2025: https://www.enterprisegeorgia.gov.ge/files/1/NACE%20საქმიანობის%20კოდი2.pdf

[88] Law on "Tobacco Control", 4059-RS. 15/12/2010. Legislative Herald of Georgia. Retrieved June 20, 2025: https://matsne.gov.ge/document/view/1160150?publication=17

[89] Parliament of Georgia. Tax Code of Georgia, updated 26.06.2025: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=232

[90] The Parliament of Georgia. *Amendments to "Tobacco Control" Law,* 859-IIs. May 17, 2017. Legislative Herald of Georgia. Retrieved June 22, 2025: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3676731?publication=2

[91] The Parliament of Georgia. *Amendments to "Tobacco Control" Law,* 596-IIMS-XIMP, May 28, 2025. Legislative Herald of Georgia. Retrieved June 22, 2025: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6507691?publication=0

[92] Business Media Georgia. Taxes will be increased of some kind of tobacco products since November 21. Nov 5, 2019: https://bm.ge/ka/article/21-noembridan-tambaqos-saxeobebze-aqcizi-izrdeba---agwevs-tu-ara-mizans-aqcizis-zrda/43009

	0	1	2	3	4	5
შედეგად, ზემოაღნიშნულ პროდუქტებზე გადასახადი დაახლოებით 24 აშშ დოლარიდან 12 დოლარამდე შემცირდა კილოგრამზე.[93]						
ინდიკატორი 4: არასაჭირო კონტაქტები						
8. უმაღლესი თანამდებობის პირები (პრეზიდენტი/პრემიერ-მინისტრი/მინისტრი[94]) ხვდებიან/ამყარებენ ურთიერთობებს თამბაქოს კომპანიებთან — ესწრებიან მათ მიერ ორგანიზებულ სოციალური ხასიათის ღონისძიებებს ან სხვა ღონისძიებებს, ან იმ სუბიექტების ღონისძიებებს, რომლებიც ინდუსტრიის ინტერესებს ემსახურებიან. (Rec 2.1)						**5**
გადამოწმებული ღია წყაროები და შიდა ინფორმაცია ადასტურებს, რომ თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლები პერიოდულად ხვდებიან პრემიერ-მინისტრს,[95,96,97] პარლამენტის თავმჯდომარეს, ასევე ფინანსთა, ეკონომიკისა და ჯანდაცვის მინისტრებს. მიუხედავად WHO FCTC-ის 5.3 მუხლითა და საქართველოს "თამბაქოს კონტროლის" კანონით განსაზღვრული გამჭვირვალობის ვალდებულებებისა, ამ შეხვედრების შედეგებზე საჯარო ინფორმაცია არ არსებობს. ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ივანე ჩხარტიშვილი[98] — მთავრობის ფავორიტი ბიზნესმენი და ადგილობრივი თამბაქოს მწარმოებელი კომპანიის მფლობელი — სავარაუდოდ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა 2024 წელს, ნედლი და სხვა ტიპის თამბაქოს პროდუქტებზე გადასახადების შემცირების გადაწყვეტილებაზე. PMI დაფინანსებულ სოციალური კვლევების ინსტიტუტსა (ISR) და უკრაინულ არასამთავრობო ორგანიზაციას „Healthy Initiatives"-ს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო აქტივობებში, აქტიურად ჰყავდა ჩართული ჯანდაცვის ყოფილი მინისტრები — ანდრია ურუშაძე და ზურაბ ჭიაბერაშვილი — ასევე, ეკონომისტი						

[93] Amendments on "Tax Code", N 4203-XIVMS-XMP, 29/05/2024. Legislative Herald of Georgia. Retrieved June 20, 2025: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6177582?publication=0
[94] Includes immediate members of the families of the high-level officials
[95] TV Imedi. Meeting of Primer Minister with Businessmen. September 17, 2024. Retrieved June 22, 2025: https://www.youtube.com/watch?v=n2zujIVFg5U
[96] Georgian Public Broadcasting Company. Meeting of Prime Minister with Businessmen. September 17, 2024: https://1tv.ge/video/premier-ministris-shekhvedra-biznesis-warmomadgenlebtan-2/
[97] Georgian office of Radio Freedom. "We need peace" – Kobakhidze's meeting with businessmen continued more than 4 hours. December 23, 2024: https://www.radiotavisupleba.ge/a/პრემიერი-მსხვილ-ბიზნესს-შეხვდა/33250298.html
[98] Shota Tkeshelashvili. How many millions of incomes does Ivane Chkhartishvili's tobacco business have? BMG, Sep 20, 2022: https://bm.ge/ka/article/ramdeni-milionis-shemosavali-aqvs-ivane-chxartishvilis-tambaqos-bizness/116857

	0	1	2	3	4	5
გიორგი მჟავანაძე, 2023-2025 წლების პერიოდშიც.[99,100,101,102] ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ლევან ჯუღელიც აქტიური რჩებოდა, კერძოდ ამყარებდა კომუნიკაციას სამედიცინო ორგანიზაციებთან და ჯანდაცვის პროფესიონალებთან, PMI-ის ახალი თამბაქო/ნიკოტინის პროდუქტების პოპულარიზაციისა და მათი ჩართვისათვის ტრენინგებსა და კვლევებში.[103]						
9. მთავრობა იღებს ინდუსტრიის დახმარებას/დახმარების შეთავაზებას აღსრულებაში — მაგალითად, თამბაქოს კონტრაბანდის წინააღმდეგ რეიდებში, მოწევისგან თავისუფალი პოლიტიკის ან არასრულწლოვანზე არ გაყიდვის აღსრულებაში (მათ შორის ამ აქტივობებისთვის ფულადი მხარდაჭერა). (Rec 4.3)				**3**		
ფინანსთა სამინისტრომ არ დაუჭირა მხარი FCTC-ის 5.3 მუხლის განხორციელებას, მათ შორის იმ მოტივით, რომ ეს შეზღუდავდა ინდუსტრიის შესაძლებლობას გაეწია „დახმარება“ მისავე დაქვემდებარებული სტრუქტურებისთვის — შემოსავლების სამსახურისა და საბაჟო სამსახურისთვის. 2023 წელს ინდუსტრიამ — განსაკუთრებით იაპონური თამბაქოს კომპანიამ (JTI) — უზრუნველყო: საბაჟო პერსონალის ტრენინგები; ტექნიკური საშუალებების მიწოდება (მათ შორის დრონები და სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლები); 2023 წელს, თამბაქოს ინდუსტრიამ ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურებისთვის უზრუნველყო მხარდაჭერა კონტრაბანდის გამოსავლენად: პერსონალის ტრენინგებით, დრონებით და სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლებით. JTI-მ განაცხადა, რომ წარმატებით ჩაატარა უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის (AIT) სემინარების სერია სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტისთვის. გარდა ამისა,						

[99] Healthy Initiatives Presents Research on Georgia's Illicit Cigarette Market at Prestigious European Conference. The Presentation was made by Georgian economist Giorgi Mzhavanadze. Published on 18.09.2023. Retrieved June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/healthy-initiatives-presents-research-on-georgia-s-illicit-cigarette-market-at-prestigious-european-conference/

[100] Healthy Initiatives. Illicit cigarette market in Georgia: Potential impact on smoking prevalence and tax revenues. Presentation was made by Georgian economist Giorgi Mzhavanadze on November 13, 2023. Published on 16.11.2023. Retrieved on June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/illicit-trade-can-science-tackle-it/

[101] Healthy Initiatives. Smoking Remains a Significant Challenge for the Countries Across Eastern Europe and Central Asia. The event attended by former Ministers of Health of Georgia Mr. Andrew Urushadze and Mr. Zurab Tchiaberashvili, also economist Giogi Mzhavanadze. Published on 16.02.2024. Retrieved June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/english-smoking-remains-a-significant-challenge-for-the-countries-across-eastern-europe-and-central-asia/

[102] Healthy Initiatives. Tackling Non-Communicable Diseases and Smoking Amid War and Crisis: Global and Regional Actions. The event attended by former Minister of Health of Georgia Mr. Andrew Urushadze. Published on 18.06.2024. Retrieved June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/tackling-non-communicable-diseases-and-smoking-amid-war-and-crisis-global-and-regional-actions/

[103] Levan Jugeli. Profile in linked-in. Retrieved June 21, 2025: https://www.linkedin.com/in/levan-jugeli-8685b21/

	0	1	2	3	4	5
JTI-მ დაასპონსორა ბიზნესადმინისტრირების სტუდენტები რამდენიმე ქართულ უნივერსიტეტში.[104]						
10. მთავრობა იღებს, მხარს უჭერს, ამტკიცებს ან დებს პარტნიორობის/არასავალდებულო შეთანხმებებს თამბაქოს ინდუსტრიასთან ან მის ინტერესებზე მომუშავე სუბიექტებთან. (Rec 3.1) *შენიშვნა:* აქ არ იგულისხმება CSR, აღსრულება ან თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის შემუშავება — ეს უკვე გაშუქებულია წინა კითხვებში.				**3**		
საქართველოს მთავრობა ზოგჯერ იღებს/მხარს უჭერს/ამტკიცებს ან დებს შეთანხმებებს/პარტნიორობას თამბაქოს ინდუსტრიასთან. უახლესი მაგალითია ფინანსური და ტექნიკური დახმარება, რომელიც გაეწია ლიბანური კომპანიის მიერ ქობულეთში 2022–2023 წლებში შექმნილ ჩილიმის თამბაქოს ქარხანას. ამ კომპანიაზე დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ამ ანგარიშის 6-ე კითხვაზე პასუხში.						
ინდიკატორი 5: გამჭვირვალეობა						
11. მთავრობა საჯაროდ არ ამჟღავნებს თამბაქოს ინდუსტრიასთან შეხვედრებს/ურთიერთობებს, მაშინაც კი, როდესაც ასეთი ურთიერთობები რეგულირების მიზნებისთვის მკაცრად აუცილებელია. (Rec 2.2)						**5**
მთავრობასა და თამბაქოს ინდუსტრიას შორის ურთიერთობები არ არის გამჟღავნებული. თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლები დახურულ კარს მიღმა მართავენ შეხვედრებს პარლამენტის წევრებთან, MoESD, MoF, BOO, MoH და პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციასთან, რაც ეწინააღმდეგება WHO FCTC-ის 5.3 მუხლის დებულებებს. ოფიციალურ მიმოწერაში საქართველოს ბიზნესომბუდსმენის ოფისმა (BOO) განაცხადა, რომ 2023–2025 წლებში ინდუსტრიის წარმომადგენლებთან მხოლოდ 4 შეხვედრა გამართა.[105] თუმცა არ დაუსახელებია შეხვედრების თემები, მონაწილეები ან მიღწეული შედეგები/ვალდებულებები.						

[104] Japan Tobacco International. JTI in Georgia. Retrieved June 22, 2025: https://www.jti.com/europe/georgia

[105] Business Ombudsman of Georgia. Response to the FCTC Implementation and Monitoring Center in Georgia, N 00000101, 07/04/2025.

	0	1	2	3	4	5
„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის 2017 წლის ცვლილებამ მთავრობისთვის დააწესა ვალდებულება, რომ 2018 წლის 1 სექტემბრამდე მიეღო სპეციალური დადგენილება — „ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მომზადების, მიღებისა და შესრულების პროცესში, საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის და საჯარო მოსამსახურის თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირებთან ურთიერთობის წესის დამტკიცების შესახებ“ (FCTC 5.3-ის განხორციელებისთვის).[106] NCDC-მ, თამბაქოს კონტროლის ალიანსთან ერთად, მოამზადა დადგენილების პროექტი; მთავრობის მიერ დამტკიცება უნდა მომხდარიყო 2018 წლის სექტემბრამდე. დოკუმენტი 2018 წლის ივნისში გადაიგზავნა პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციაში. **სამწუხაროდ, 7 წლის შემდეგაც — კვლავ განხილვის რეჟიმშია.** 2021 წლის 13 აპრილს, პარლამენტმა მიიღო სპეციალური რეზოლუცია და მიმართა მთავრობას დადგენილების დროულად მიღებისა და თამბაქოს ინდუსტრიასთან მიმართებით გამჭვირვალობის გასაძლიერებლად.[107,108] 2022 წელს, NCDC-მ განაახლა მუშაობა დოკუმენტზე; შეთანხმებული სამთავრობო დოკუმენტი 2022 წლის ბოლომდე აიტვირთა სამთავრობო სისტემაში, თუმცა 2025 წლის ივნისისთვის კვლავაც MoF-სა და პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციაში განიხილება. MoF ცდილობს აირიდოს გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები — მათ შორის თამბაქოს ინდუსტრიისგან საჩუქრების მიღების აკრძალვა და თამბაქოს ინდუსტრიასთან კავშირის დეკლარირება.						
12. მთავრობა ავალდებულებს თამბაქოს ინდუსტრიის სუბიექტებს, აფილირებულ ორგანიზაციებსა და მათი სახელით მოქმედ პირებს (მათ შორის ლობისტებს) რეგისტრაციისა და/ან ურთიერთობების გამჭვირვალეობის წესების დაცვას. (Rec 5.3)						**5**
მთავრობას არ გააჩნია რეგულაციები თამბაქოს ინდუსტრიის სუბიექტების, აფილირებული ორგანიზაციებისა და მათი სახელით მოქმედი პირების (მათ შორის ლობისტების) რეგისტრაციისა და/ან აქტივობების გამჟღავნების თაობაზე. ამ						

[106] Parliament of Georgia. *Amendments to "Tobacco Control" Law,* 859-IIs. May 17, 2017. Legislative Herald of Georgia. Retrieved June 22, 2025: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3676731?publication=2
[107] Parliament of Georgia. Post legislative scrutiny (PLS) on the Law of Georgia "on Tobacco Control" – Final Report. Healthcare and Social Issues Committee of the parliament of Georgia. 2019: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/132419/jandacvis_komit_broshura_ENG_PRINT
[108] Parliament of Georgia. Resolution of the parliament N 455-IVms-Xmp, adopted 13/04/2021. https://matsne.gov.ge/ka/document/view/5148191?publication=0

	0	1	2	3	4	5
საკითხის მოსაგვარებლად შემუშავებული სამთავრობო დადგენილების მიღება სამთავრობო უწყებებში 2018 წლიდან განიხილება.						
ინდიკატორი 6: ინტერესთა კონფლიქტი						
13. მთავრობა არ კრძალავს თამბაქოს ინდუსტრიისგან (ან მის ინტერესებზე მომუშავე სუბიექტებისგან) პოლიტიკური პარტიებისთვის, კანდიდატებისთვის ან კამპანიებისთვის კონტრიბუციებს, და არც მოითხოვს ასეთი შემოწირულობების სრულ გამჟღავნებას. (Rec 4.11) *1 არასოდეს 5 დიახ*						**5**
მთავრობა არ კრძალავს თამბაქოს ინდუსტრიისა და მასთან აფილირებულ სუბიექტთა პოლიტიკურ კონტრიბუციებს.						
14. პენსიაზე გასული მაღალი თანამდებობის პირები წარმოადგენენ თამბაქოს ინდუსტრიის ნაწილს (ყოფილი პრემიერი/მინისტრი/გენერალური პროკურორი და სხვ.) (Rec 4.4)					**4**	
საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველოს (TIG) ოფისმა გამოიკვლია კორუფციული მოლაპარაკებები მაღალჩინოსნებსა და ადგილობრივ მწარმოებლებს შორის. შეთანხმების მთავარ ფიგურებად დასახელდნენ მულტი-მილიონერი, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ივანე ჩხარტიშვილი და მისი შვილი მიხეილ ჩხარტიშვილი, ადგილობრივი საწარმო „თბილისი თამბაქოს“ მფლობელი.[109] ივანე ჩხარტიშვილი ხელისუფლების ფავორიტ ბიზნესმენად ითვლება და ფლობს ადგილობრივ თამბაქოს წარმოებას.[110] სავარაუდოა, რომ მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 2024 წელს ნედლსა და სხვა ტიპის თამბაქოზე გადასახადების შემცირების გადაწყვეტილებაზე ზემოქმედებაში. ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრებმა, ანდრია ურუშაძემ და ზურაბ ჭიაბერაშვილმა, რომლებიც PMI-ის მიერ დაფინანსებულ ISR-თან და უკრაინულ „Healthy						

[109] National Agency of Public Registry. Joint stock company "Tbilisi Tobacco". Extract of entrepreneurs and non-entrepreneurs (non-commercial) legal entities from the registry, last updated: Oct 25, 2022. Retrieved June 23, 2025: https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFIK]x4xbV2HZQKVXM]x28kSE]LBok7xEJ7sefq3Rbeq2

[110] Shota Tkeshelashvili. How many millions of incomes does Ivane Chkhartishvili's tobacco business have? BMG, Sep 20, 2022: https://bm.ge/ka/article/ramdeni-milionis-shemosavali-aqvs-ivane-chxartishvilis-tambaqos-bizness/116857

	0	1	2	3	4	5
Initiatives“-თან თანამშრომლობდნენ,[111,112,113,114] 2023–2025 წლებშიც, გააგრძელეს „თამბაქოს ზიანის შემცირების“ დღის წესრიგთან დაკავშირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობა.[115,116]						
15. მთავრობის მოქმედი წევრები ან მათი ახლობლები იკავებენ პოზიციებს თამბაქოს ბიზნესში, მათ შორის საკონსულტაციო პოზიციებს (Rec 4.5, 4.8, 4.10).				**3**		
ამჟამად საჯაროდ ხელმისაწვდომი ჩანაწერები არ არსებობს, რომ მთავრობის მოქმედი წევრების ნათესავები იკავებდნენ პოზიციებს (მათ შორის კონსულტანტის როლს) თამბაქოს კომპანიებში. თუმცა, ინფორმაცია შესაძლოა მიზანმიმართულად დაიფაროს ინდუსტრიის მიერ და არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ასეთი შემთხვევიდან წარმოშობილ პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტებს აღმოაჩენს ან გაამჟღავნებს. MoESD-ის მოქმედი მინისტრის მოადგილე ირაკლი ნადარეიშვილი 2013–2016 წლებში იკავებდა Imperial Brands-ის კომერციული დირექტორის პოზიციას (საქართველო და მოლდოვა).[117] MoESD-ის კიდევ ერთი მინისტრის მოადგილე,						

[111] Healthy Initiatives Presents Research on Georgia’s Illicit Cigarette Market at Prestigious European Conference. The Presentation was made by Georgian economist Giorgi Mzhavanadze. Published on 18.09.2023. Retrieved June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/healthy-initiatives-presents-research-on-georgia-s-illicit-cigarette-market-at-prestigious-european-conference/

[112] Healthy Initiatives. Illicit cigarette market in Georgia: Potential impact on smoking prevalence and tax revenues. Presentation was made by Georgian economist Giorgi Mzhavanadze on November 13, 2023. Published on 16.11.2023. Retrieved on June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/illicit-trade-can-science-tackle-it/

[113] Healthy Initiatives. Smoking Remains a Significant Challenge for the Countries Across Eastern Europe and Central Asia. The event attended by former Ministers of Health of Georgia Mr. Andrew Urushadze and Mr. Zurab Tchiaberashvili, also economist Giogi Mzhavanadze. Published on 16.02.2024. Retrieved June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/english-smoking-remains-a-significant-challenge-for-the-countries-across-eastern-europe-and-central-asia/

[114] Healthy Initiatives. Tackling Non-Communicable Diseases and Smoking Amid War and Crisis: Global and Regional Actions. The event attended by former Minister of Health of Georgia Mr. Andrew Urushadze. Published on 18.06.2024. Retrieved June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/tackling-non-communicable-diseases-and-smoking-amid-war-and-crisis-global-and-regional-actions/

[115] Healthy Initiatives. Smoking Remains a Significant Challenge for the Countries Across Eastern Europe and Central Asia. The event attended by former Ministers of Health of Georgia Mr. Andrew Urushadze and Mr. Zurab Tchiaberashvili, also economist Giogi Mzhavanadze. Published on 16.02.2024. Retrieved June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/english-smoking-remains-a-significant-challenge-for-the-countries-across-eastern-europe-and-central-asia/

[116] Healthy Initiatives. Tackling Non-Communicable Diseases and Smoking Amid War and Crisis: Global and Regional Actions. The event attended by former Minister of Health of Georgia Mr. Andrew Urushadze. Published on 18.06.2024. Retrieved June 21, 2025: https://hi-ua.org/en/news/tackling-non-communicable-diseases-and-smoking-amid-war-and-crisis-global-and-regional-actions5

[117] Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, retrieved in June 23, 2025: https://www.economy.ge/?page=deputy-ministers&deputy=73&fname=Irakli_Nadareishvili

	0	1	2	3	4	5
გენადი არველაძე, ცნობილია, როგორც თამბაქოს ინდუსტრიის ინტერესების აქტიური დამცველი მთავრობასა და პარლამენტში.[118]						
ინდიკატორი 7: პრევენციული ზომები						
16. მთავრობას აქვს დამკვიდრებული პროცედურა თამბაქოს ინდუსტრიასთან ურთიერთქმედების ჩანაწერების (დღის წესრიგი, მონაწილეები, ოქმები, შედეგები და სხვ.) გასაჯაროებისთვის. (Rec 5.1)						**5**
ამ ეტაპზე არ არსებობს დადგენილი პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფდა მთავრობისა თუ საჯარო მოხელეთა და თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობების გასაჯაროებას — მათ შორის დღის წესრიგის, დამსწრე პირთა სიის, შეხვედრის ანგარიშებისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის — გამჟღავნებას.						
17. მთავრობამ შეიმუშავა/მიიღო/განახორციელა საჯარო მოხელეთა ქცევის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს სტანდარტებს ინდუსტრიასთან ურთიერთობაში. (Rec 4.2) *მთელ მთავრობაზე „დიახ“; ნაწილობრივ „დიახ“, თუ მხოლოდ ჯანდაცვაზე ვრცელდება*					**4**	
„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის 2017 წლის მაისის ცვლილებამ დააკისრა ვალდებულება მთავრობას, 2018 წლის 1 სექტემბრამდე მიეღო სპეციალური დადგენილება — „ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მომზადების, მიღებისა და შესრულების პროცესში, საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის და საჯარო მოსამსახურის თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირებთან ურთიერთობის წესის დამტკიცების შესახებ“ (WHO FCTC-ის 5.3 მუხლის რეალიზებისთვის).[119] დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (NCDC), თამბაქოს კონტროლის ალიანსთან ერთად, მოამზადა დადგენილების პროექტი; დოკუმენტი 2018 წლის ივნისში გადაიგზავნა პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციაში დასამტკიცებლად, თუმცა შვიდი წლის შემდეგაც —						

[118] Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. Gennady Arveladze, Deputy Minister. Retrieved June 22, 2025: https://www.economy.ge/?page=deputy-ministers&deputy=5&fname=გენადი_არველაძე&lang=en

[119] Parliament of Georgia. *Amendments to "Tobacco Control" Law,* 859-IIs. May 17, 2017. Legislative Herald of Georgia. Retrieved June 22, 2025: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3676731?publication=2

	0	1	2	3	4	5
კვლავ განხილვის რეჟიმშია. 2021 წლის 13 აპრილს, პარლამენტმა მიიღო სპეციალური რეზოლუცია და მოუწოდა მთავრობას დადგენილების დროულად მიღება და გამჭვირვალობის გაძლიერებას თამბაქოს ინდუსტრიასთან მიმართებით.[120,121] 2022 წელს, NCDC-მ განაახლა მუშაობა დოკუმენტზე; შეთანხმებული სამთავრობო დოკუმენტი 2022 წლის ბოლომდე აიტვირთა სამთავრობო სისტემაში, თუმცა 2025 წლის ივნისისთვის კვლავაც MoF-სა და პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციაში განიხილება. MoF ცდილობს აირიდოს გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები — მათ შორის თამბაქოს ინდუსტრიისგან საჩუქრების მიღების აკრძალვა და თამბაქოს ინდუსტრიასთან კავშირის დეკლარირება.						
18. მთავრობა ავალდებულებს თამბაქოს ინდუსტრიას პერიოდულად წარადგინოს ინფორმაცია წარმოებაზე, წარმოებული პროდუქციის მოცულობებზე, ბაზრის წილზე, მარკეტინგულ ხარჯებზე, შემოსავლებზე და სხვა აქტივობებზე, მათ შორის ლობირება, ფილანტროპია, პოლიტიკური კონტრიბუციები და ყველა სახის TAPS აქტივობები, როგორიცაა CSR ან EPR (COP 10), აგრეთვე თამბაქოს ინდუსტრიის საწარმოებზე, აფილირებულ ორგანიზაციებზე და მათი სახელით მოქმედ პირებზე, და თამაბქოს ინდუსტრიით დაფინანსებული ჯგუფების კვლევებსა და მარკეტინგულ საქმიანობაზე (Rec 5.2, 5.3; COP9/10 გადაწყვეტილებები)				**3**		
ინდუსტრიას მოეთხოვება მხოლოდ შეზღუდული მონაცემების მიწოდება — ძირითადად საგადასახადო და სტატისტიკური მიზნებისთვის (მაგ. „საქსტატში“).[122] არ არსებობს სამართლებრივი ვალდებულება, რომ გამჟღავნდეს მათი მარკეტინგული ხარჯები, ლობირების აქტივობები, შემოსავლები, პოლიტიკური კონტრიბუციები ან ფილანტროპიული ღონისძიებები.						

[120] Parliament of Georgia. Post legislative scrutiny (PLS) on the Law of Georgia "on Tobacco Control" – Final Report. Healthcare and Social Issues Committee of the Parliament of Georgia. 2019: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/132419/jandacvis_komit_broshura_ENG_PRINT
[121] Parliament of Georgia. Resolution of the Parliament N 455-IVms-Xmp, adopted 13/04/2021. https://matsne.gov.ge/ka/document/view/5148191?publication=0
[122] National Statistics Office of Georgia (GeoStat). Business Statistics. Retrieved June 23, 2025: https://www.geostat.ge/en/modules/categories/195/business-statistics

	0	1	2	3	4	5
19. მთავრობას აქვს პროგრამა/სისტემა/გეგმა, რომელიც სისტემურად ზრდის ცნობიერებას მისავე უწყებებში WHO FCTC-ის 5.3 მუხლის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებულ პოლიტიკებზე. (Rec 1.1, 1.2)						**5**
მთავრობას არ აქვს სტრუქტურირებული პროგრამა ან გეგმა, რომელიც უწყვეტად გაზრდიდა ცნობიერებას სამინისტროებსა და სააგენტოებში FCTC 5.3 მუხლიდან გამომდინარე პოლიტიკებისა და ვალდებულებების შესახებ.						
20. მთავრობას აქვს პოლიტიკა, რომელიც კრძალავს თამბაქოს ინდუსტრიიდან ყოველგვარი შემოწირულობის/საჩუქრის მიღებას (ფულადსაც და ნატურალურსაც), მათ შორის „დახმარების“ შეთავაზებებს, პოლიტიკის შემუშავებას ან სასწავლო ვიზიტებზე მოწვევებს — როგორც მთავრობის, ისე მისი უწყებების, ოფიციალური პირებისა და მათი ახლობლებისათვის. (Rec 3.4)						**5**
მთავრობას არ დაუმკვიდრებია პოლიტიკა, რომელიც აკრძალავს თამბაქოს ინდუსტრიისგან საჩუქრებისა და შემოწირულობების (ფულადი/ნატურალური), ასევე დახმარების შეთავაზებების, პოლიტიკის შემუშავების ან სასწავლო ვიზიტებზე მოწვევების მიღებას — როგორც მთავრობისა და მისი უწყებების მიერ, ისე ოფიციალური პირებისა და მათი ახლობლების მხრიდან.						
ჯამი	87					

დამატებითი კითხვები *COP9 და COP10 გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, რომლებიც უსვამს ხაზს 5.3 მუხლის რეკომენდაციებს*
A. პასუხისმგებლობა: მთავრობამ მიიღო ან იყენებს სავალდებულო სანქციებს თამბაქოს ინდუსტრიის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ ის აწვდის ცრუ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას *(Rec 5.4)* [5.4 მხარეებმა უნდა დააწესონ სავალდებულო სანქციები თამბაქოს ინდუსტრიის მიმართ, იმ შემთხვევაში თუ იგი უზრუნველყოფს ცრუ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.]
მტკიცებულება არ არსებობს სავალდებულო სანქციები თამბაქოს ინდუსტრიის მიმართ, თუ იგი აწვდის ცრუ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას.
B. რესურსების მონაცემთა ბაზა: მთავრობამ მიიღო და განახორციელა ღონისძიებები თამბაქოს ინდუსტრიის საქმიანობაზე ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად [5.5 მხარეებმა უნდა მიიღონ და განახორციელონ ეფექტიანი სამართლებრივი, აღმასრულებელი, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას, კონვენციის 12(გ) მუხლის შესაბამისად, თამბაქოს ინდუსტრიის საქმიანობის ფართო სპექტრზე საჯარო ხელმისაწვდომობა, რაც შესაბამისობაშია კონვენციის მიზნებთან, მაგალითად, საჯარო რეესტრის/საცავის შექმნით.]
მტკიცებულება მთავრობამ არ დაამკვიდრა ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს საჯარო ხელმისაწვდომობას თამბაქოს ინდუსტრიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციაზე.

დანართი A — წყაროები და ბაზრის აღწერა

გადასახადები

	წამყვანი ტრანსნაციონალური თამბაქოს ჯგუფები	ბაზრის წილი	ბრენდები	წყარო
1	PMI	41%		Euromonitor 2024
2	JTI	18%		Euromonitor 2024

3	BAT	17%		Euromonitor 2024
4	International marketing Co	7%		Euromonitor 2024

	წამყვანი ადგილობრივი თამბაქოს ჯგუფები	ბაზრის წილი	ბრენდები	წყარო
1	თბილისის თამბაქო	6%		Euromonitor 2024

ინდუსტრიის პარტნიორები / ფრონტ-ჯგუფები

	თამბაქოს ინდუსტრიის მთავარი მოკავშირეები/მხარდამჭერი ჯგუფები	ტიპი (მხარდამჭერი ჯგუფი, აფილირებული, ინდივიდი)	წყარო
1	საქართველოს ბიზნეს ასოციაცია	მხარდამჭერი ჯგუფი	https://tobaccotactics.org/article/business-association-of-georgia/
2	საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატა	მხარდამჭერი ჯგუფი	
3	ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა	მხარდამჭერი ჯგუფი	https://www.amcham.ge
4	საქართველოს რითეილ საოციაცია	მხარდამჭერი ჯგუფი	https://companyinfo.ge/ka/corporations/695829
5	სოციალური კვლევების ინსტიტუტი (ISR)	მხარდამჭერი ჯგუფი	https://www.isr.ge/tobacco-harm-reduction bit.ly/46canHt
6	ტ/კ პირველი	მხარდამჭერი ჯგუფი	https://tvpirveli.ge
7	ბიზნეს მედია საქართველო (BMG)	მხარდამჭერი ჯგუფი	
8	Georgia Today	მხარდამჭერი ჯგუფი	https://georgiatoday.ge
9	Entrepreneur	მხარდამჭერი ჯგუფი	https://entrepreneur.com
10	Forbes Georgia	მხარდამჭერი ჯგუფი	
11	კომერსანტი	მხარდამჭერი ჯგუფი	
12	დავით სონღულაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი	ინდივიდი	https://mepa.gov.ge/En/Minister

13	გენადი არველაძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე	ინდივიდი	https://www.economy.ge/?page=deputy-ministers&deputy=5&fname=Genadi_Arveladze
14	ირაკლი ნადარეიშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე	ინდივიდი	https://www.economy.ge/?page=deputy-ministers&deputy=73&fname=Irakli_Nadareishvili
15	ოთარ დანელია, საქართველოს ბიზნესომბუდსმენი	ინდივიდი	https://businessombudsman.ge/en/about-us/business-ombudsman-of-georgia
16	ისკო დასენი, პარლამენტის წევრი	ინდივიდი	https://www.parliament.ge/en/parliament-members/5626/biography
17	გოჩა ენუქიძე, პარლამენტის წევრი	ინდივიდი	https://www.parliament.ge/en/parliament-members/2110/biography
18	ირაკლი კირცხალია, პარლამენტის წევრი	ინდივიდი	https://www.parliament.ge/en/parliament-members/8062/biography
19	მარიამ ლაშხი, პარლამენტის წევრი	ინდივიდი	https://www.parliament.ge/en/parliament-members/7112/biography
20	შოთა ბერეკაშვილი, პარლამენტის წევრი	ინდივიდი	https://www.parliament.ge/en/parliament-members/8443/biography
21	ლევან მაჭავარიანი, პარლამენტის წევრი	ინდივიდი	https://www.parliament.ge/en/parliament-members/8369/biography
22	ვახტანგ თურნავა, პარლამენტის წევრი	ინდივიდი	https://www.parliament.ge/en/parliament-members/8448/biography
23	გიორგი ბარვენაშვილი, პარლამენტის წევრი	ინდივიდი	https://www.parliament.ge/en/parliament-members/8339/biography
24	სანდრო ურუშაძე, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი	ინდივიდი	http://www.nplg.gov.ge/bios/en/00012762/
25	ზურაბ ჭიაბერაშვილი, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი	ინდივიდი	http://www.nplg.gov.ge/bios/en/00007494/
26	ლევან ჯუღელი, ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე	ინდივიდი	https://www.linkedin.com/in/levan-jugeli-8685b21/?originalSubdomain=ge
27	გიორგი მჟავანაძე, ეკონომისტი	ინდივიდი	https://www.linkedin.com/in/mzhavanadze/